# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 17 მაისი, 2013 წელი.

№90 (7217)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პატრიარქი ჰომოსექსუალთა მიერ დაგეგმილი აქციის წინააღმდეგია!



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თბილისის მერიასა და ხელისუფლებას მიმართავს, 17 მაისისთვის დაგეგმილ აქციაზე გაცემული ნებართვა გააუქმოს. 17 მაისის აქციასთან დაკავშირებით პატრიარქის განცხადება მედიის წარმომადგენლებს პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა გააცნო.**

— როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ამა წლის 17 მაისს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილია სექსუალური უმცირესობებისა და მათი მხარდამჭერების შეკრება, რომელიც მიზნად ისახავს არა ამ ადამიანების რეალური პრობლემების მოგვარებას, არამედ თემით სპეკულირებას, რადგან ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნების მიუხედავად, მათ შეუზღუდავად შეუძლიათ წარმართონ თავიანთი პირადი ცხოვრება. ფაქტია ისიც, რომ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, რომლებიც საერთოა ყველა დროსა და სივრცეში, მათ შორის არის ზნეობრივი კანონები. ყველა რელიგია და მეცნიერული მიმართულება (ფსიქოლოგია, მედიცინა) ჰომოსექსუალიზმს ანომალიად და დაავადებად მიიჩნევს (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ახლად შექმნილ ფსევდომეცნიერულ შეხედულებებს).

ეკლესია ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს განიხილავს მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად, რომელთაც დახმარება და გამოსწორებისთვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა წახალისება და, მით უმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისათვის თავსმოხვევა. ეს იგივეა, რომ მოგვწონდეს ნარკომანის ქმედება და თანაც ნარკომანიის საყოველთაო აფიშირებას ვახდენდეთ. ჩვენს ხალხს სულ სხვა სულისკვეთება აქვს და ამიტომაც გასაგებია მისი მძაფრი პროტესტი კონკრეტულად ამ და, ზოგადად, ასეთი შეკრებების მიმართ. ჩვენი მოქალაქეები ამაში ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და ზოგადად აზროვნების წესის შეურაცხყოფას. ვფიქრობ, მერიამ და ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინონ ეს და გააუქმონ ჰომოსექსუალებისთვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციაზე, მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო გლოვაა მოყვასისთვის თავგანწირული ვაჟკაცებისა. შევნიშნავ იმასაც, რომ საერთაშორისო კონვენციები ერთმნიშვნელოვნად იძლევიან იმის უფლებას, რომ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებების და ღირსების დაცვის მიზნით შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება, — ნათქვამია საქართველოს პატრიარქის განცხადებაში.

## „ეს არის აჯანყება ღვთის წინააღმდეგ“ ④

## ღმრთის სასჯელი არ აგვცდება და ღირსნიც ვიქნებით! ⑤

## ანუ პროსტიტუცია პროფილსა და ანფასში

## მოსალოდნელი არჩევანი, ③

## ანუ გაბლეფვებული ბლეფი

## „ქვანიას საქმე“ წლის ③ ბოლომდე გაიხსნება?!

## კონსტანტინე გამსახურდია – 120



⑥

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დახრილი დროშები

# საქართველოში გლოვა გამოცხადდა

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ავღანეთში დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებთან დაკავშირებით სამძიმრის წერილი გამოაქვეყნა.**

ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან გამართულ ბრიფინგზე პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა განაცხადა.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამ დროისთვის აჭარაში იმყოფება.

საზღვარგარეთ მდებარე საქართველოს ყველა საელჩოში და მისიაში გლოვის ნიშნად დროშები დაუშვეს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე სტრასბურგში , საქართველოს წარმომადგენლობაში სახელმწიფო დროშის დაშვებას პირადად დაესწრო და დროშას შავი ლენტი შეაბა.

— საქართველოში გლოვის დღეა. სამი ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა ავღანეთში. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი სამხედროები ავღანეთში იღუპებიან. ყველა საელჩო, ყველა წარმომადგენლობა საქართველოსი უერთდება გლოვის დღეს. ყველგან იქნება დროშები დაშვებული და შებმული იქნება შავი ლენტები. მე აქ მომიწია ყოფნა, ამ ამბის გაგება და ამიტომ მივიღე მონაწილეობა ამ რიტუალში. ეს ჯარისკაცები არიან გმირები, რომლებმაც თავი სამშობლოს შესწირეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხდა სამშობლოსგან შორს, ავღანეთში. მათი წვლილი გლობალური უსაფრთხოების საკითხში არის ძალიან დიდი და საქართველოს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავისი გმირები, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ზვიად დავითაძემ, ალექსანდრე კვიწინაძემ და ვლადიმერ შანავამ საქართველოს უკეთესი მომავლისთვის გაწირეს თავი, — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე განაცხადა.

ირაკლი ალასანია ვაზიანის ბრიგადაში ქართველი სამხედროების ჩამოსვენებასა და საქართველოში 16 მაისის გლოვის დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით მივიდა. 42-ე ბატალიონი, სადაც ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროები მსახურობდნენ, სწორედ ვაზიანის ბრიგადის შემადგენლობაში შედის.

ვაზიანში, ისევე როგორც დანარჩენ სამხედრო ბაზებზე, საქართველოს სახელმწიო დროშებიც დაეშვა.

— უმძიმესი დღეა საქართველოს შეირაღებული ძალებისთვის, საქართველოსთვის და განსაკუთრებით მეოთხე ქვეითი ბრიგადისთვის. სამშობლოსგან შორს, სამშობლოს სამსახურში ზვიად დავითაძემ, ალექსანდრე კვიწინაძემ და ვლადიმერ შანავამ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის გაწირეს თავი. ეს იყო ჩემთვის პირადად დიდი დარტყმა, რადგან ამ გმირ ბიჭებთან ერთად შევხვდი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს შირგაზის ბაზაზე, პირადად გავიცანი ისინი. საქართველოსთვის თავის გაწირვა ღირსეულთა ხვედრია. დარწმუნებული ვიყოთ ყველა, რომ ამ ბიჭების თავდადება მიგვიყვანს ერთიან საქართველომდე. ღმერთი იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მფარველი, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ.

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● რას ეკვეტებიან ამ სხვის კონფლიქტებში, ვერ გავიგე?! ჩვენი უკეთილშობილესი ამერიკის მსგავსად, თქვენც „აღშფოთდით“ და გაუგზავნეთ ტონობით წყალი (ეგ მაინც გვაქვს)... როდემდე უნდა იკლიზმოთ და გზავნოთ ქართველი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცად ცხელ წერტილებში? ან ზუსტი ფორმულირება გვითხარით, რამდენი ჯარისკაცი უნდა დაგვეღუპოს, მაპი რო მოგვცენ და ნეტარ „ნატოში“ შეგვასუნინონ?!

● მიშა: „...საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით ვაკუუმი წარმოიშვა... „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მქონდა მაღალი დონის ვიზიტები აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიასა და რუსეთში. ...“:)))

მიშიკ, ეგ სანამ ჭირდებოდით, მანამ გქონდა ))) რუსეთშიო))) ოკუპანტ რუსეთში შენ როგორ იქნებოდი?! ის ალბათ შენი ორეული იყო, პუტინს გუნდრუკს რომ უკმევდა და ელაქუცებოდა :))))



როგორც ჩემი ერთი მეზობელი იტყოდა, ახლა მთელ მსოფლიოს მაგრად ჰკიდიხარ... აწი გასტროლებზე თუ ივლი, რუსლანასა და ივანა მელაისთან ერთად :)) იმოძრავე და ვანო თავის ახალ მოძრაობაში აგიყვანს :)))

● ელისო კილაძე: „გია ხუხაშვილი ბიძინა ივანიშვილს ატყუებს...“ :)) არ ასვენებს გამჩენი :)))

ამხანაგო კილაძე, შენ უკვე რამდენი წელია მთელ საქართველოს ატყუებ და გიასი გაგიკვირდა? გია ქემაინც მარტო ბიძინას ატყუებს...:)))

● ელისო კილაძის განცხადებით, კახეთში სეტყვა გია ხუხაშვილის ინსპირირებულია...

● ჰომოსექსუალიზმი დემოკრატია არაა!
ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობა არაა!
ჰომოსექსუალიზმი პრივილეგია არაა!
ჰომოსექსუალიზმი არის გაუკუღმართება და გარყვნილება!!!

● უნდა აიკრძალოს ამ გარყვნილების აფიშირება საქართველოში და სულ არ მაინტერესებს რას იფიქრებს ევროპის ჰომოსექსუალური ნაწილი!!!

ჩემს ქვეყანაში მთავარი ისაა თუ რას ფიქრობს ჩემი ხალხი!

● მაინტერესებს,რატომ არავინ ითხოვს,რომ ეტლით მოსიარულეთათვის ქუჩებსა თუ შენობებში სასწრაფოდ გაკეთდეს პანდუსები მათი დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის? ისინი არ არიან ადამიანები?მათი უფლებები არ ირღვევა ამით?

თუ მხოლოდ სექსუალურ უმცირესობებს აქვთ უფლებები?

აი, ამიტომ არის სიყალბე და ტყუილი ის,რომ 17 მაისის აქცია ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება!

მათ არავინ ერჩის! არავინ აგდებს სამსახურებიდან ორიენტაციის გამო და არც არავინ ცემს ქუჩაში, თორემ პირველი მე დავიცავდი მართლა რომ უჭირდეთ! ასეთი აქციების მიზანი სხვაა!

ესაა სიმართლე სამწუხაროდ და ძალიან ცუდია ასეთი თემებით სპეკულაცია!

● რა მაგარია, რომ პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება! გასართობი არ მოგვაკლდება, ხალხნოოო!

● მზეჭაბუკი ფარესას თავებთან ჭიდილში სავალალოდ დამარცხდა...

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

რიგას წასვლა ვის უხარის

# ნაცეთს რო ერთი მუგუზალი აკლდა,

## ანუ ვინც ჩამოვიდა, გაუმარჯოს!..

**შემჩნეულია – რევოლუცია ამგვარ ანგარიშგასაწევ მახასიათებელსაც იახლებს ხოლმე: ნაძირალებს ფართოდ გაუღებს კარს, თავშესაფარს მისცემს, რომ მერე, რაღაც „პონტში“, უკაცრავად და, განავალივით ამოატივტივოს...**

ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციისა“ და სწორად წოდებული შე-ვარდნების რევოლუციის შემდეგ გივი თარგამაძემ ნაცმოძრაობაში საკუთარი, გამორჩეული ადგილის დასაკავებლად ყვავილოვანი რევოლუციების ექსპერტობა და ექსპორტიორობა აირჩია და არაერთი პოსტსაბჭოური სივრცე დალაშქრა ამნაირი საპატიო მისიით. რა ვუყოთ, რომ ერთ-ერთი შუააზიური რესპუბლიკიდან, როგორც არცთუ უბოროტო ენები ამბობენ, ერთ დარბაისელ ცხოველზე აჩაქჩაქებით მოუწია გამოქცევა რევოლუციის ექსპორტიორისა თუ მენეჯერის როლში შეჭრილს...

პანჩოვილიობა თუ ხუარესობა მაინც არ მოიშალა, საპარლამენტო უარესობა თავის დროზე არ იკმარა და „საერთაშორისო“ მივლინებაში ისე ხშირად იმყოფება, რომ თქვენი არ ვიცი და მე ნამდვილად მომანატრებს ხოლმე თავს...

აგერ სულ ახლახან ინტერპოლური ძებნისაგან თავი დაუღწევია, პირადად პუტინისათვის მოუგია დუელი და რიგასთან სამთვიანი „გარიგების“ მერე სამშობლოში დაბრუნდა, რომ როგორც აეროპორტში განაცხადა, აქტიურად ჩაებას პოლიტცხოვრებაში და ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს. მე შენ გეტყვი და, ჩვენი სენსაცია-სკანდალზე დახარბებული თუ გაფაციცებული ტელეარხები არ დახვდებოდნენ და ტელეკამერებს უხვად არ მიუშვერდნენ...

ასე რომ, უახლოეს დღეებში ველოდოთ ჩვენს ულტრაპოლიტიზებულ ეკრანზე ბატონი გივის გამოჩენას და ფართოდ მომუწული ენა-პირით ალაპარაკებას მისთა საქმეთა საგმიროთა გარშემო. სულ ერთია, იქსთან დიალოგი იქნება, იგრეკთან პოზიციის დაკავება, ზეტთან პროფილში ჩადგომა თუ ტესთან ღია ეთერში გაჩითვა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იქს, იქრეკ, ზეტ, ტე უკვე დგანან გივი თარგამაძესთან საინტერვიუ რიგში...

მე კი აბა, რისი მე ვიქნები, თუ ლექსაობით არ შევეგებები ბატონ გივის დაბრუნებას და შინ მოსვლას; მე, რომელმაც კარგად ვიცოდი, თუ რიგას წასვლა ვის უხარის...

ამრიგად: **გამოჩნდა ქართლი, ცრემლივით სველი, მჭმუნვარე, როგორც ჰამლეტის** (მამა ჰამლეტი იგულისხმეთ), **ლანდი და გამახსენდა – სამი თვე მთელი, აღარც ისმოდი და აღარც ჩანდი...** (დაუვიწყარი ოთარ ჭილაძისაგან სესხებით); **მუზას ცეცხლი ეკიდება, ამ სიხარულს აუ, რა სჯობს, შენ სალამი, შენ დიდება, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!..** (ძვირფასი იოსებ გრიშაშვილის გახსენებით)...

**ლუკა გორგაძე**

გამოხმაურება

# სამართალში დაგენაცვლე, პრეზიდენტო!

**12 მაისს, დაახლოებით 0 საათზე, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე-რესტორანში ჩხუბი მომხდარა, რომელშიც სამი ნაცი გალახულა. იმავე დღეს, 15 საათისათვის (იმდროინდელი „კურიერის“ ინფორმაციიდან) მთელი ნაცეთი ერთსულოვნად ადანაშაულებს ხელისუფლებას მომხდარში, ინციდენტს „ოცნების“ მიერ მოწყობილი პროვოკაციის, ნაციონალური მოძრაობის დევნის, მასთან პოლიტიკური ანგარიშსწორების კვალიფიკაციას აძლევს...**

მთელი ნაცეთი – ბოკუჩავიან-ვაშაძიან-გაბაშვილიან-ბაქრაძიან-სააკაშვილიანა; იჭაჭებიან ხელისუფლების მხრიდან ძალადობაზე მაშინ, როცა ჩხუბი ჯერ გამოძიებული არ არის, არ დაუდგენიათ, სინამდვილეში რა მოხდა – არა, „ოცნება“ ტყუის და მორჩა! კარგი და, ვთქვათ, ნაცები სტყუიან, მათი დაწყებულია ჩხუბი და აყალმაყალი – მაშინ? რა, ჯერაც არაფერი არ დაუშავებიათ, ჯერაც არ მიუქარავთ, მზია ბებიასი და სხვა ბებიების არ მიურთმევიათ, უამრავი ცოდვა არ ჰკიდიათ, თუ?..

ყველაზე გასაკვირი ჩემთვის თვითწოდებული პრეზიდენტის განცხადებები იყო, ფოთური განცხადებები, იქაური ეკლესიის გახსნის ცერემონიალიდან გამოსულისა. იურისტი მაინც არ იყოს, იურიდიული განათლება კიევში, ამსტერდამში, ჰარვარდში მაინც არ ჰქონდეს მიღებული! უდანაშაულობის პრეზუმფცია მე უნდა შევახსენო? იმის პრეზიდენტია, რომ ასეთი მიკერძოების, არაობიექტურობის, წამოყრანტალებების მაგალითებს „ადემონსტრირებდეს“? წამოყრანტალებაა, მაშ რა არის – კაფეებში და რესტორნებში მეც ხშირად დავდივარო (უცებ იქვე მიხვდა, რომ პრეზიდენტი ამას თუ მართლა აკეთებს, თქმით მაინც არ უნდა ამბობდეს და „გაასწორა“ – ხალხთან ვურთიერთობო; რა კარგი „ფორმატი“ აურჩევია მასებთან ურთიერთობისათვის, არა?..); წამოყრანტალებაა, მაშ რა არის – ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიდან ძმრისმდენი ფოთში სამიათასლარიან თანამდებობაზე დაუნიშნავთო; ამის გასაგებად ჩავიდა ფოთში? დაავიწყდა, რომ თავისი თავი იმ 7 ნოემბრის მერე, იმ აგვისტოს მერე, იმ 26 მაისის მერე მაღალ თანამდებობაზე და ხელფასზე დასტოვა, ისევე როგორც დასტოვა კი არა, დააწინაურა ადამიანების სისხლში იდაყვებამდე კი არა, მხრებამდე ხელებგასვრილი მერაბიშვილები, ახალაიები, ბარამიძეები?



ან იმ რაღაცსახელა არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის (ტელესერიალებივით მომრავლებული არასამთავროების სახელებს რა დაიხსომებს) საპროტესტო „ოპერატიული“ გამოსვლა ნაირნაირი ტრანსპარანტებით! ნეტავ როდის და როგორ მოასწრეს შუაღამისას კაფეში შემდგარი ჩხუბის გაანალიზება და ნაცები ნაცების „გამამააბრამბატკანება“, რომ დილიდანვე ქუჩაში პიკეტირებისათვის გამოეფინენ? მაინც ვინ იყვნენ – ეგებ სულაც ნაციონალური მოძრაობის „ალკკ“ ფრთა?..

**...12 მაისს ფოთში, დღისით, მზისით „ნატაძრალზე“ რომ სიმართლე იქადაგე შენი კვლავ თვალებში შემომცინცინე ტელეკამერების წინ და მერე 15 და 18 საათის „კურიერში“ გაიჩითე – ე, მაგ სიმართლით იარე, ოქტომბრამდე, ილიას უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი გოგონას საამაყო პრეზიდენტო, იარე საზღვარგარეთ და საზღვარ შიგნით! და ესეც – შენი ნატრაილერალი არ გეიშვა, კიდო!..**

**სააკაშვილო, პრეზიდენტი უნდა გერქვას შენ?..**

**ბერდია ბედოიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ცინცხალი ინტერვიუ



# ნინო ძადაგიძე: ვაცადოთ გამოძიებას, რომ პროცესი ნორმალურ, მშვიდ ვითარებაში წარიმართოს

## „ჟვანიას საქმე“ წლის ბოლომდე გაიხსნება?!

***„ჟვანიას საქმე“ იმ გახმაურებულ საქმეთა სათავეშია, რომელსაც ახალი ხელისუფლების პირობებში იძიებს პროკურატურა. კითხვა — მოკლეს თუ მომწამვლელი აირით გაიგუდა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, დღესაც აქტუალურია. ჩვენ რამდენჯერმე შევეცადეთ ამ თემის გაშლას, დავუკავშირდით ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებს, ძმას, პარლამენტარ გოგლა ჟვანიას, თუმცა, გამოძიების დეტალებზე ღიად საუბარს მან თავი აარიდა. ორიოდე თვის წინათ გვითხრა, რომ შეიძლებოდა ერთ-ორ თვეში ნათელი მოჰფენოდა ამ საქმეს, თუმცა, როგორც ჩანს, ჯერ ისევ ძიების პროცესი მიმდინარეობს.***

***ამჯერად ჩვენ ვესაუბრეთ ზურაბ ჟვანიას ქვრივს, ქალბატონ ნინო ძადაგიძეს, რომელსაც ბუნებრივია, არ სჯერა იმ ვერსიისა, რაც წინა ხელისუფლებამ გაახმიანა და გამოძიების დასკვნას ელოდება. იმის მიუხედავად, რომ ვიცოდით, ქალბატონი ნინო გამოძიების დასრულებამდე წინასწარ ბევრს ვერაფერს გვეტყოდა, მაინც ჩავწერეთ მასთან ინტერვიუ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.***

**— ქალბატონო ნინო, როგორც ვიცით, მაქსიმალურად თავს იკავებთ გამოძიების დეტალებზე საუბრისგან, თუმცა, იმდენად დიდია საზოგადოების ინტერესი ე.წ. ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, რომ სულ მცირედი კომენტარიც კი საინტერესოა.**

— ნამდვილად თავს ვიკავებთ კომენტარისგან მოცემულ მომენტში. საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობს გამოძიება. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ გამოძიება პირველივე დღიდან ფაქტობრივად არც ჩატარებულა, ის მხოლოდ იმას ემსახურებოდა, რომ რეალურად საქმის გამოძიებისგან აერიდებინა თავი. აი, დღეს კი პირიქით ხდება. მართლაც ძალიან ბევრი დეტალია გასარკვევი, საქმეში ღრმად არის ჩასახედი. მე მგონია, გამოძიებას უნდა ვაცადოთ, რომ პროცესი ნორმალურ, მშვიდ ვითარებაში წარიმართოს. თავად გამოძიების ინტერესებშია ისიც, რომ ჩვენ — ოჯახის წევრებმა ნაკლები ვილაპარაკოთ, რათა ამ პროცესს ხელი არ შეეშალოს. ვნახოთ, სადაც ამდენი წელიწადი დაველოდეთ, რამდენიმე თვე ნამვილად არ არის გადამწყვეტი...

**— რამდენიმე თვეში ელოდებით გამოძიების დასრულებას?**

— სავარაუდოდ, წლის ბოლომდე საქმე გაიხსნება.

**— ქალბატონო ნინო, როდის გაგიჩნდათ ეჭვი იმისა, რომ გამოძიება არასწორად მიმდინარეობდა?**

— თავიდან ისეთ შოკში ვიყავი, ისეთი მტკივნეული იყო ეს ყველაფერი, რომ ვერაფერზე ვფიქრობდი. მერე და მერე, როცა თანდათანობით დავიწყეთ ამ საქმეში ჩახედვა და გარკვევა, მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვები. ანუ არ იყო ისე ყველაფერი, როგორც ჩვენ გვეუბნებოდნენ. მერე საკმაოდ ბევრი დრო დავხარჯეთ მე და გოგლამ სიტუაციაში გასარკვევად. ყველა ჩვენს ნაბიჯს წინააღმდეგობა ხვდებოდა, რაც უნდა გაგვეკეთებინა, ამბობდნენ, ეს არა, ასე — არა და ა.შ. იცით, რომ სხვა ვითარება იყო მაშინ, თუმცა, შეძლებისდაგვარად, ჩვენ შეკითხვები დავსვით, ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ვერსიაც. არ ვიცი, რა იქნება, აი, დაველოდოთ გამოძიებას და ვნახოთ.

**— თქვენ შვილებთან ერთად მიგიწვიეს პარლამენტში ბატონი ზურაბის გარდაცვალებიდან მალევე. მაშინ გქონდათ უკვე ეჭვები თუ ჯერ კიდევ ენდობოდით გამოძიებას?**

— ეჭვები უკვე გვქონდა. სხვათა შორის, პარლამენტში მისვლა ძალიან უსიამოვნოდ და მტკივნეულად მახსენდება. იქ მიგვიწვია პრეზიდენტმა ზურას დედა და მე შვილებთან ერთად, დაგვსვეს ლოჟაში და ისე გამოგვიშვეს, რომ ერთი ადამიანი არ მოსულა და არ დაგველაპარაკებია. ასე უცნაურად მივედით და წამოვედით...

**— ზოგადად ის ვერსია, რაც იმთავითვე ითქვა, რომ ზურაბი იყო მეგობართან ერთად კონფიდენციალურ ბინაში, რამდენად სარწმუნო იყო თქვენთვის?**

— არ ვიცი, როგორც კი შემატყობინეს, იმ წუთში მივედი იმ ბინაში... ხომ გითხარით, მაშინ შოკში ვიყავით და ტკივილის გარდა ვერაფერს ვგრძნობდი.

**— როგორც გახმაურდა, ბინაში ვერ იპოვეს მეორე გარდაცვლილის ცალი ფეხსაცმელი. ალბათ, მსგავს დეტალებს მაშინ არ აქცევდით ყურადღებას?**

— ბუნებრივია, არ ვაქცევდი ყურადღებას. ეს მერე და მერე გამოიკვეთა. მაშინ ამის თავი არ გვქონდა.

**— როგორი ურთიერთობა გქონდათ მეორე გარდაცვლილის რაულ იუსუფოვის ოჯახთან, და თუ იცით, დღეს რა დამოკიდებულება აქვთ გამოძიების მიმართ?**

— ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს, ძალიან კარგი ხალხია. შეძლებული ოჯახი აქვთ, გავლენიანი. რა უნდა თქვან, ასეთი ახალგაზრდა შვილი დაკარგეს, სრულიად უდანაშაულო. მასაც ცოლ-შვილი დარჩა. სხვათა შორის, გოგლამ მონათლა უმცროსი შვილი. ჩვენ მაშინვე ჩავედით იქ, კარგი ბიჭი იყო, მთელი სოფელი ტიროდა და გლოვობდა. იუსუფოვის ოჯახიც ისევე ელოდება გამოძიების დასრულებას, როგორც ჩვენ.

**— თქვენი ვარაუდით, ვინ მოიფიქრა და ჩამოაყალიბა ის ვერსია, რაც საზოგადოებამ იცის?**

— ვანო მერაბიშვილმა. მე არ ვიცი, კიდევ ვინ ეხმარებოდა მას, რამდენი ადამიანი, მაგრამ იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ძალოვანი უწყებიდან მომდინარეობდა ეს ვერსია და მუშავდებოდა.

**— ზურაბის მეგობრებზე უნდა გკითხოთ, რამდენჯერმე გულისტკივილით აღნიშნეთ, რომ ბევრმა თქვენს ოჯახთან მეგობრობა გაწყვიტა.**

— დიახ, ძალიან ნათელი სურათია ზურას „მეგობრები“... ვინც ნაციონალური გუნდის წევრად დარჩა, მან ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა: გია ბარამიძე, ხათუნა გოგორიშვილი, დავით ტყეშელაშვილი... სხვებიც. თავიდან კიდევ ჰო, მაგრამ როცა საბოლოოდ გაივლო ხაზი ჩვენ შორის და ისინი ნაციონალური გუნდის აქტიური წევრები გახდნენ, კონტაქტიც დამთავრდა. ეტყობა, მოერიდნენ თანამდებობების დაკარგვას. ასე რომ, არანაირი ურთიერთობა მათთან არ გვაქვს. მეტ-ნაკლები ურთიერთობა მაქვს გიგი წერეთელთან და მიშა მაჭავარიანთან. აი, ძალიან თუ გამიჭირდა, შეიძლება დავურეკო. თუმცა, ისეთი არც არაფერი მითხოვია. რაღაცა მეკუთვნოდა და იმის მიღებაში დამეხმარნენ.

**— თუმცა, სხვაგვარი დამოკიდებულება გაქვთ უკვე პრეზიდენტობის კანდიდატთან გიორგი მარგველაშვილთან, რომელიც ასევე ზურაბის მეგობარი იყო...**

— ოო, გიორგი არის თავისუფალი ადამიანი, როგორც შინაგანად, ისე აზროვნებით, რაც არის მასში მომხიბვლელი. ის დარჩა ჩვენი ოჯახის მეგობრად. იმედია, თანამდებობა არ დააკარგვინებს მას ამ თავისუფლებას და ის ისეთივე უშუალო იქნება ურთიერთობაში, როგორიც აქამდე იყო.

**— ქალბატონო ნინო, თქვენი ინტერვიუებიდან ისე ჩანდა, თითქოს თქვენ საქართველოდან წახვედით, შვილები გაარიდეთ სააკაშვილის რეჟიმს...**

— არა, არასოდეს. ჩვენ სულ საქართველოში ვცხოვრობთ. ზაფხულობით ვისვენებთ წყნეთის აგარაკზე, რომელიც ხელისუფლებამ დაგვიტოვა. უბრალოდ, სულ რაღაც სამი თვით ვიყავი წასული უცხოეთში სასწავლებლად.

**— შვილები საქართველოში სწავლობენ?**

— დიახ. აქ დადიან სკოლაში. მხოლოდ უფროსი გოგონა, რომელიც 18 წლისა გახდა, სწავლობს ატლანტაში, ფიზიკამათემატიკურზე. თვითონ მოინდომა, ჩააბარა, მოიპოვა დაფინანსება და მეც უარი არ მითქვამს. თუმცა, ზურაბის სურვილი იყო, რომ მის შვილებს საქართველოში მიეღოთ უმაღლესი განათლება და არა უცხოეთში. აქ ესწავლათ ახალ, პრესტიჟულ სასწავლებლებში და მერე წასულიყვნენ საზღვარგარეთ.

**— როგორც ვიცით, თქვენ აქ საქველმოქმედო საქმიანობით ხართ დაკავებული. ხომ არ შეგქმნიათ ხელოვნური პრობლემები, დაბრკოლებები წინა ხელისუფლებისგან?**

— პრობლემები არ შემქმნია, უბრალოდ, არაადამიანი უნდა იყო, რომ ხელი შეუშალო ორგანიზაციას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებსა და მათ ოჯახებს ეხმარება. საბედნიეროდ, გვყავს ძალიან კარგი ირლანდიელი პარტნიორები, რომლებიც ფინანსურად მხარს გვიჭერენ. სახელმწიფოსთან მუდმივად ვთანამშრომლობთ უკვე 10 წელიწადია, თუმცა ფინანსების მოძიება ამ მიმართულებით ძალიან ძნელია...

**— გმადლობთ, ქალბატონო ნინო. მთელი საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება საბოლოო დასკვნას, ყველას აინტერესებს — როგორ გარდაიცვალა პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია.**

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

პოზიცია

# მოსალოდნელი არჩევანი,

## ანუ გაბლეფებული ბლეფი

**მე პირადად, აბსოლუტურად არ გამკვირვებია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატად ქართულმა ოცნებამ გიორგი მარგველაშვილი აირჩია.**

**ამის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი კი, ნუ გაგიკვირდებათ და — ნაციონალური მოძრაობაა (რომელიც „ერთიანი“ აღარ არის და „ეროვნული“ ვერც ვერასდროს გახდება, მაგრამ დაშლილიც არაა ჯერ).**

**მე მგონი, ნაცმოძრაობამ ერთი სერიოზული იაღლიში დაუშვა, როცა წინასწარ განაცხადა, რომ მისი ფავორიტი კონკურენტი ირაკლი ალასანია იქნებოდა.**

რა თქმა უნდა, ნაცმოძებს ალასანიაზე მზე არ ამოსდით, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ იგივე კარტი გაეთამაშებინათ, რაც 1 ოქტომბრის წინ ივანიშვილმა გაითამაშა, სულ რომ აქებდა ვანო მერაბიშვილს და ამით სერიოზული „ჩორტი“ ჩამოაგდო ნაცმოძრაობაში, რომელიც მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამ „ჩორტის“ აჩრდილთან ჭიდაობას გადაყვა...

ჰოდა, ახლა ბოკერიამ და „სასტავმა“ გადაწყვიტა ამ ბლეფის გათამაშება და ააგეს ციხე-კოშკები, რომ ყველაზე ძლიერი კანდიდატი ირაკლი ალასანიაა, რომ ივანიშვილი არ დაუშვებს ალასანიას საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელებას, რომ ალასანია ამით გაბრაზდება, რომ გაბრაზებული ალასანია დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს, რომ ამაზე გაბრაზებული ივანიშვილი თავად იყრის კენჭს ოცნების კანდიდატად, რომ ეს „ქართულ ოცნებას“ გახლიჩავს, რომ გახლეჩილი ოცნება ხალხს აღარ მოეწონა, რომ იმედგაცრუებული ხალხი ისევ შეჩვეულ ჭირს, ანუ, ნაცმოძრაობას მიუბრუნდება!

მოკლედ „ღარიბი და ქილა ერბოს“ ეს გროტესკული რიმეიკი უსასრულოდ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, იმ კაცის გუნდის მხრიდან, რომელიც ამ ბოლო დროს ზღვის ფსკერზე მჯდარი ზვიგენების შესახებ უწყინარი, და პროქტოლოგების შესახებ ბინძური ანეკდოტების მოყოლით „გვართობს“...

ირმა ნადირაშვილი რომ ვნახე ნინო შუბლაძის გადაცემაში, ვიფიქრე, რომ მაგიდაზე რამდენიმე მურიანი თეფში არ აწყენდა ამ შოუს, ხოლო თუ ნეტარი ირმა თვალებს დახუჭავდა და თავს უკან გადააგდებდა, ახალგაზრდა ვანგას „პონტშიც“ შეიძლებოდა გასულიყო...

ნაცმოძრაობამ ერთი რამ ვერ გათვალა, რომ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური წონა, რომელიც 2010 წლის სავალალო დაქვეითების შემდეგ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ძალიან სერიოზულად გაიზარდა, მიუხედავად ამისა, (და იმისაც, რომ ალასანია ნამდვილად არის ახლო მომავლის ერთ-ერთი სერიოზული პოლიტიკოსი) აბსოლუტურად ვერ შეედარება იმ პოლიტიკურ წონას, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ვანო მერაბიშვილს გააჩია! „ქართული ოცნების“ წარმოდგენა, თუნდაც ალასანიას გარეშე, საკმაოდ შესაძლებელია და ეს (რა თქმა უნდა, არასასურველი,) განვითარება, „ქართულ ოცნებას“ ვერ დაანგრევს, განსხვავებით იმისაგან, რა მოხდა ნაცმოძრაობაში, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა ვანო მერაბიშვილის გაპრემიერებით მისი უზარმაზარი გავლენის განეიტრალება სცადა.

და მაინც, სანამ ნაცმოძრაობა არ დაშლილა, სანამ მისი რამდენიმე ოდიოზური და კრიმინალი ლიდერი საბრალდებო სკამზე არ ზის, რა თქმა უნდა, ზედმეტი ფუფუნება იქნება იმის გარეგნული ეფექტის დაშვებაც კი, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაშლის პროცესი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ნაცმოძრაობა საბოლოოდ მარტივ (და ერთურთის მაგინებელ) მამრავლებად არ დაშლილა.

მე პირადად, მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობის კრიმინალური ქმედება სასამართლოს მიერ იქნება დადასტურებული, ხოლო მიხეილ სააკაშვილი და რამდენიმე მისი „პოლიტგენერალი“ მათ მიერ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულთა გამო გასამართლებული ძალიანაც კარგ ვარიანტად მიმაჩნია „ქართული ოცნების“ რამდენიმე ფრაქციად/პარტიად დაშლა. ეს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას მხოლოდ უფრო საინტერესოს, კონკურენტულს, ცოცხალს და განვითარებადს გახდის, განსხვავებით, ნაცმოძური ნეობოლშევიზმისა, რომელიც საბოლოოდ ისევ მის მიერვე შექმნილ ჭაობში ჩაიხრჩო.

ხოლო ჯერჯერობით კი, ნამდვილად არ გამკვირვებია ის არჩევანი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა — შეგნებულად არ დასახელდა ისეთი აქტიური და გამოკვეთილი ლიდერი, რომლის უკან სერიოზული ძალა იდგებოდა (ასეთები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ირაკლი ალასანია და სალომე ზურაბიშვილი).

იხ. 6 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ გეიპარადის წინ

**ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია: 17 მაისს, პარასკევს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე (პარლამენტის წინ), 13 საათზე, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის ადამიანები ორგანიზებულ აქცია-პარადს აწყობენ. ეს დღე საერთაშორისო დონეზე აღინიშნება. ამის საპირწონედ, 17 მაისს, დილის 11 საათზე, ფილარმონიასთან, ეწყობა ქართველი ერის შეკრება. მოეწყობა მსვლელობა ქაშუეთის ტაძრამდე. დადასტურებული ინფორმაციაა, რომ მსოფლიო საზოგადოების და ამ საკითხებში აქტიურად ჩართული ორგანიზაციების ყურადღება საქართველოსკენ იქნება მომართული. შეკრებას მხარს უჭერენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები და სხვა ქართული სულით ნასაზრდოები ადამიანთა ჯგუფები. იგეგმება რეგიონებიდან ტრანსპორტირება თბილისში. გულისხმიერად მოვეკიდოთ და დავდგეთ ყველანი ერთად. „გადავდგამთ ერთ დიდ ნაბიჯს წინ, ან ათ ნაბიჯს უკან“.**

17 მაისის აქციის გამო მრევლს მიმართა **მამა ბასილ მკალავიშვილმა**:

**„ჩემო სულიერნო შვილნო, ძმანო და დანო, დღეს საქართველო მძიმე განსაცდელშია. საზღვარგარეთის ბნელი, ანტიქრისტიანული ძალები ყოველნაირად ცდილობენ, შეგვილახონ 20-საუკუნოვანი მართლმადიდებლური სარწმუნოება. ჯერ სექტების სახით შემოგვესივნენ, ამჯერად გათამამდნენ მამათმავლები, ლესბოსელები და სხვა უზნეო ხალხი გააქტიურდა, რათა საქართველო ჩაითრიონ სოდომ-გომორის ცოდვაში, რის შედეგადაც ღვთის რისხვა არ აგვცდება.**

**17 მაისს „მამათმავლებს“ დაგეგმილი აქვთ ზნედაცემული მსვლელობა მოაწყონ რუსთაველის პროსპექტზე. ეს ხომ ჩვენი ღვთივრჩეული ერის შეურაცხყოფაა. ქართველმა ხალხმა ეს არ უნდა დავუშვათ.**

**მე და ჩემი მრევლი ჭინჭრებით ხელში 17 მაისს 11 საათზე ვიკრიბებით პარლამენტის ყოფილი შენობის წინ. გთხოვთ შემოგვიერთდეთ“!**

17 მაისის აქციის გამო რამდენიმე მოძღვარმაც იქადაგა:

**მამა დავით (ქვლივიძე): „თითოეული ასეთი ქმედება, ეს არის ღვთის წინააღმდეგ აჯანყება და ასეთი აჯანყება ყოველთვის დიდი ხნის სასჯელებით თავდებოდა. ყველასთვის შემზარავი წარღვნა ჩვენ — ყველას წმინდა წერილიდან გვახსოვს. უბრალოდ შეეჩვია ყური ამ გამოთქმას — წარღვნა მოხდა. წარმოიდგინეთ, რა მოხდა წარღვნის დროს? მთელი დედამიწა დაფარა წყალმა, ქალები, ბავშვები, უმწეოები — ყველანი დაახრჩო ღმერთმა. თან ამას**

# „ეს არის აჯანყება ღვთის წინააღმდეგ“



**აკეთებს ყოვლად მოწყალე ღმერთი, არ დაგავიწყდეთ. როდესაც აივსო მოთმინება უფლის... წარღვნის წინა პერიოდში გარყვნილების დონემდე დაეცა კაცობრიობა. დედები შვილებთან წვებოდნენ, დები ძმებთან... ენით აუწერელი სიბინძურე ტრიალებდა, და ღმერთმა დასაჯა მთელი სამყარო. ერთ-ერთ ადგილას სწერია ასეთი რამ, რომ წარღვნის წყლებმა ჩამორეცხეს მთელი ის ცოდვა, რაც მოხდაო.**

**და ამის შემდეგ დარჩა მხოლოდ ნოე და მისი სახლეული, რომელიც სინანულში იყო, შეშინებული, წარმოიდგინეთ რა დღეში იქნებოდა გადარჩენილი ნოე. ამის შემდეგ ღმერთმა შერგების ნიშნად ზეცაში ცისარტყელა გამოაჩინა. სოდომი და გომორი, სოდომური ცოდვა, ამის სინონიმი აქედან აიღეს.**

**სოდომური ცოდვების გამო დაემხო და განადგურდა უამრავი იმპერია. რომის იმპერიის დაცემის მიზეზი იყო გარყვნილება. იმპერია რომელიც ზესახელმწიფო იყო და ყველას შიშის ზარს სცემდა მისი სახელის გაგონება, განადგურდა. აღმოსავლეთის მრავალი სახელმწიფო, სადაც ეს ცოდვა ბატონობდა და ჩვეულებრივ ნორმად მიიჩნეოდა, აღიგავა მიწისაგან პირისა, ამ ცოდვაში ჩაფლული ერები, საერთოდ აღარ არსებობს“.**

**წარმოიდგინეთ, თუკი ამხელა სახელმწიფოები ღმერთმა აღგავა მიწისაგან პირისა, გადაბუგა სოდომი და გომორი, გაანადგურა იმპერიები, ერები, რაღა მოგვივა ჩვენ — ერთ ბეწო ხალხს, ორმილიონნახევარია, სამი მილიონია ქართველი ხალხი. ეს არის მოსკოვის ერთი კვარტალი, ნიუ-იორკის ერთი კვარტალი, არაფერი არ არის“.**

მამა დავითმა მოიყვანა მაგალითები საქართველოს ისტორიიდან, როდესაც წინა პერიოდში ქართველები ზნეობრივად მოიკოჭლებდნენ თავისი მეფის, მაგალითად ლაშა-გიორგის შემხედვარე... ძალიან ცუდად დაიწყეს მოქცევა (ციტატა „ქართლის ცხოვრებიდან“): **„რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიტრფოება, სიმართლე და ამისა წილ მოიგეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი, უწესობანი და ღმერთმა სჯულის დამვიწყებელ ერს სასტიკი სასჯელი მოუვლინა მონგოლებისა და ჯალალედინის სახით“.** პირდაპირ წერს მემატიანე, ამიტომ გამოჩნდა ჯალალედინიო. ამ ცოდვის გამოო.

მამა დავითმა მრევლს ისიც გაახსენა, შაჰ-აბასის შემოსევამდე რაც ხდებოდა: **იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება. განმრავლდა სიძვა და არა წმინდება, ცოდვა იგი სოდომუნ-გომორული. და მეძავობა და დედათა თანა აღრევა. შემოვიდა ზოგ-ზოგად ტყვის ყიდვა, აღზევდნენ მეძავნი და ბილწების მომქმედნი... და ნახეთ, რითი დამთავრდა, მტერი შემოესია მაშინაც და ჯალალედინის დროსაც.. ღმერთმა ესენი გამოგზავნა სასჯელად ჩვენი ქვეყნისა. ამათი ხელით დავისაჯეთ და დედათა ხელიდან შვილებს იტაცებდნენ და ქვაზე ანარცხებდნენო.**

**„1254 წელი იყო, ვგონებ, და მოხდა საზარელი მიწისძვრა, მთელი წელი მიწა იძვროდაო. დაეცნენ ქალაქები, ტაძრები, ხალხი ცოცხლად დაიჭყლიტაო. ეკლესიებში განადგურდა მთელი მოსახლეობა, ვარძია მაშინ ჩამოიქცა. როცა ქართველები სწორად იქცევიან, ღმერთი იფარავს მათ — გიორგი მესამის დროს, დავით აღმაშენებლის დროს, თამარის დროს, დაიწყებენ არასწორ მოქცევას და ეგრევე ისჯებიან. როგორც ისრაელი ისჯებოდა ძველ აღთქმაში ღმერთისგან, 4-5 წლის წინათ მოხდა მიწისძვრა ტაილანდის ოკეანეში და მთელი სანაპირო წაიღო. ტაილანდი არის ყველაზე გარყვნილი ქვეყანა, იქ არის ოფიციალური ტურისტული ტურები მამათმავლობისათვის და ბავშვებთან უზნეო ცხოვრებისათვის, იქ არის კუნძულები სადაც სულ შიშვლები დადიან და იძახიან, სამოთხეში ვართო, დასცინოდნენ ღმერთს. ეს კუნძულები აღარ არსებობს. 400 ათას კაცამდე იმსხვერპლა ერთმა ცუნამმა.“.**

**ნატა ნიბლაძე**

## ◉ გავიხსენოთ ის დღეები!

# როდესაც მივხვდით, გვიანი გამოდგა

**სენსაციური გამოდგა პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. როგორც ჩანს, ორატორმა მისთვის ჩვეული ლექსიკით და „ბოდი ლენგვიჯით“ ილაპარაკა, რასაც სტუდენტთა აღშფოთება მოჰყვა.**

სააკაშვილისგან რას არ ელის ქართული საზოგადოება, მაგრამ უნივერსიტეტში შეხვედრა სხვა იყო — „ამაღლებული“, „ფანტაზიებითა“ და ტყუილებით აღსავსე. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც ნიუ-იორკის ქუინსის ქართველ ებრაელთა სალოცავში. შორეულ და სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-ში გამოსვლა პრეზიდენტის ამ ქვეყანაში ბოლო ვიზიტის დროს (30 აპრილი) გაიმართა.

ძნელია სიტყვით აღწერო ის, რაც იქ მოხდა, შეაფასო პრეზიდენტის „მჭევრმეტყველება“, „კაზმულსიტყვაობა“, მდიდარი ლექსიკა. ეს უნდა წაიკითხოთ, გააანალიზოთ და თაობებს შეუნახოთ, როგორც შედევრი ანტიაზროვნებისა, ისტორიის უცოდინარობისა, ბუნდოვანი, გაურკვეველი ლექსიკისა, გაუმართავი წინადადებებისა, დამახინჯებული მეტყველებისა, ახალგაზრდა კაცის სიბნელისა, ტყუილებისა და ა. შ. საქართველომ იცის, რაც არის პრეზიდენტი, მაგრამ ასეთი?

სააკაშვილის პრეზიდენტობის დასრულებამდე 5 თვეა დარჩენილი. დრო არც ისე ცოტაა საქართველოს თავის მოსაჭრელად, ქვეყნის ისედაც გაუარესებული სახის მიწასთან გასასწორებლად.

გამოსვლის წამკითხველს უდავოდ უნდა შერცხვეს, რომ „ორატორი“ ცხრა წლის განმავლობაში მისი „პირველი“ კაცი იყო, ერის სახე, ხალხის რჩეული. უნდა შერცხვეს მხარდაჭერისთვის არჩევნებზე, მისი საქმეების გაზვიადებისთვის, პრეზიდენტის სასარგებლო რიტორიკისთვის, ყველაფერი იმისთვის, რამაც გააძლებინა სააკაშვილსა და მის ნაცებს ქვეყნის თავში ყოფნა, დანაშაულის ჩადენა, ხალხის დამონება, ქვეყნის ძარცვა.

სააკაშვილის ცხრაწლიანმა მმართველობამ მომაკვდინებლად იმოქმედა ქვეყანაზე, რაც მთავარია, მის მომავალზე, დააკნინა თითქმის ყველა დარგი. უვიცობა ზენიტში აიყვანა, რახან ყოველივე აღნიშნული მოახერხა, გულშემატკივრებიც შეიძინა — მასავით ბრიყვები, გონებაჩლუნგები, მაგრამ ამბიციურები. ამ კატეგორიის ხალხი საშიშია, განსაკუთრებით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემთხვევაში.

საშიშია ძველი და ახალი ინტელიგენციის ქცევაც. საკუთარი კუჭისთვის ბრძოლამ, „ჩინმენდლების“ გამოდევნებამ, რა არ აკეთებინა მას — სააკაშვილის საამებლად.

არანაკლებ საშიშია საქართველოს „მეგობარი“ დასავლეთის ქვეყნების ქცევაც — მათ ყველაფერი იღონეს სააკაშვილის ავტორიტეტის შექმნისთვის. ასეთის მხარდაჭერა ქვეყნის დაცემის სადარია. იქნებ სწორედ ეს სურდათ ჩვენს „მეგობრებს“?!

სააკაშვილის გამოსვლის ძარღვი ტყუილში იყო. ამ საქმეში მას რომ ბადალი არ ჰყავს — ჩვენც ვიცით და სხვამაც, მაგრამ ჩვენც და სხვამაც, ნაცვლად



მკაცრი რეაგირებისა, ენა მუცლებში ჩავიგდეთ — მაინც პრეზიდენტია და არაფერი გვავნოსო.

ებრაელების წინაშე გამოსვლისას სააკაშვილმა ასლან აბაშიძის გაკეთებული, საკუთარ თავს მიაწერა **და ამაყად განაცხადა, რომ მან სინაგოგაც ააშენა ბათუმში და ისრაელის მთავარი რაბინიც ჩამოიყვანა გახსნაზე.**

სინამდვილე სხვას ღაღადებს. ბათუმის სინაგოგა, ერთობ შეუხედავ მდგომარეობაში მყოფი, ასლან აბაშიძემ ფეხზე დააყენა, ფაქტობრივად ახლიდან ააშენა და საზეიმო გახსნაზე ისრაელის მთავარი რაბინი შტეინზალციც მოიწვია. რაბინს თან ახლდა ასკაციანი დელეგაცია. ბათუმის დრამატულ თეატრში ქართველი და ებრაელი ხელოვნების მუშაკების კონცერტიც გაიმართა. **ღონისძიება შევარდნაძის პრეზიდენტობის ჟამს იყო, მაშინ სააკაშვილის შესახებ ცოტა იცოდნენ.**

სააკაშვილი იხსენებს რომში ჩატარებული კონფერენციის შემდეგ თელ-ავივის აეროპორტში თავის თავგადასავალს — საკუთარი ფანტაზიით აღსავსეს, მაგრამ, რაც მთავარია, არ იხსენებს იმას, რასაც იტალიაში საქართველოს საელჩოს მაშინდელი თანამშრომლები - წითელი ნათურებით დამშვენებულ ეროტიკის რაიონს, იქაურ მეძავებთან „საქმიან“ შეხვედრას, მიღებული მომსახურებისათვის ფულის გადაუხდელობას, მოტყუებული მეძავების სასტუმროში მივარდნას და სხვა.

რომის კონფერენცია, იტალიაში საქართველოს ელჩის თავართქილაძის დაბეჯითებული მეცადინეობით გაიმართა თემაზე „კორუფციასთან ბრძოლა“. მასპინძელმა მხარემ საქართველოს დელეგაციის წევრები მაღალ დონეზე მიიღო, მაგრამ... **დელეგაციის ზოგიერთი წევრის შეუფერებელმა საქციელმა აიძულა მასპინძელი, გაეუქმებინა ოფიციალური შეხვედრები, მათ შორის რომის პაპთან.**

საკუთარი აღვირახსნილობის დაფარვის მიზნით დელეგაციის წევრმა პარლამენტარებმა მოწმე (თავართქილაძე) გაწირეს. პარლამენტის სხდომაზე ელჩს, იტალიის მაფიასთან კავშირი დააბრალეს და შევარდნაძე აიძულეს, გამოეთხოვა ის იტალიიდან. კახურად რომ იტყვიან — „ვირო, მადლიო“.

სააკაშვილისა და დელეგაციის ზოგიერთი წევრის ამურულ საქმეს შეეწირა საქართველოს პირველი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, მეცნიერი, რომის უნივერსიტეტის პროფესორი ბეგი თავართქილაძე. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ახალგაზრდა „მოქალაქეები“ მარტო თავართქილაძის გაწირვას არ იკმარებდნენ.

მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ისინი ბევრ სხვასაც გაწირავდნენ, საიქიოში გაისტუმრებდნენ და რაც მთავარია, გაწირავდნენ ქვეყანას.

ახალგაზრდა „მოქალაქეთა“ საქციელი იმთავითვე ამაზრზენ შთაბეჭდილებას სტოვებდა, ვერ დავინახეთ, უფრო სწორად, არ დავინახეთ. „კარგი ახალგაზრდები არიანო“, — ამბობდნენ ძველგაზრდები — კარგი ოჯახის შვილებიო.

შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ასე იცის მეტისმეტმა დაყვავებამ, დაუმსახურებლად თავზე ხელის გადასმამ. სანამ არ „ჩაგვრეცხეს“, ვერაფერს მივხვდით. როდესაც მივხვდით, გვიანი გამოდგა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# თუ დროზე არ გამოვფხიზლდით!..

***ჯერ ტერმინი „პროსტიტუცია“ უნდა განვმარტო. იმიტომ კი არა, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველს ჩემს დაუხმარებლად გაუჭირდება უცხოური წარმომავლობის ამ სიტყვის შინაარსის გაგება. არა! მინდა, თავიდანვე იცოდეს ყველამ, რომ აქ არ ვილაპარაკებ იმ საქმიანობაზე, რასაც ღამღამობით სხვადასხვა ფასად ეწევიან ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მდგომი ადამიანები. იმათი საქმიანობაც, ფართო გაგებით, თუმცა პროსტიტუციაა, მაგრამ მას მამაპაპურად ბოზობა ჰქვია და მეც ყოველთვის ჩვენებურ სიტყვა-გამოთქმებს ვამჯობინებ, როდესაც უცხოური ტერმინების გამოყენება აუცილებელი არ არის. ამჯერად, არ მინდა იმ საქმიანობას მივაპყრო თქვენი ყურადღება, რომელსაც ცირკისა თუ რესტორნების ახლომახლო ქუჩებში მდგომი და კლიენტების მომლოდინე ადამიანები ეწევიან, არამედ იმას, რასაც ჩვენი ტელევიზიების პოპულარულ არხებზე (ორიოდე გამონაკლისის გარდა!) მაღალხელფასიანი მუშაკები ასრულებენ. მათი საქმიანობა ბოზობაზე უარესია და მამაპაპური ტერმინით მისი აღნიშვნა არ ივარგებს.***

მაშ ასე: პროსტიტუცია ლათინური წარმომავლობის (prostitutio) ტერმინია და ქართულად შერცხვენას, შებღალვას, ღირსების ფეხქვეშ გათელვას ნიშნავს. არც ბოზობაა საამაყო და ღირსეული საქმე, მაგრამ ბოზი საკუთარ თავს არცხვენს, საკუთარ სახელსა და ღირსებას ბღალავს მხოლოდ, მაგრამ ის, რასაც ჩვენი ტელევიზიების უმრავლესობა აკეთებს, ერის შერცხვენა, ეროვნული ღირსების ხელყოფა და იმ ღირებულებების შებღალვაა, რითაც დღემდე მოგვიტანია თავი და რითაც ქართველებად ვიხსენიებით ჯერ კიდევ. ამიტომაც, ბოზობას ვერ ვუწოდებ მათს საქმიანობას. მას სახელად პროსტიტუცია შეეფერება მხოლოდ...

ამ ნახევარი საუკუნის წინათ ტელევიზია „იმედის“ ცხოველმყოფელი სხივივით შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. მისი ეკრანიდან ცოდნისა და ზნეობის ნათელი ეფინებოდა მთელ საქართველოს. ტელევიზიას შემოჰქონდა ჩვენს ოჯახებში ფართო თვალსაწიერი, ინტერესთა მრავალფეროვნება, პოლიტიკური კულტურა. ტელევიზია ნერგავდა ფართო მასებში მუსიკალურ და თეატრალურ კულტურას, პატრიოტულ და ინტერნაციონალურ შეგნებას. ტელევიზია იყო ქართული სწორმეტყველების ნიმუში.

ახლა?

ახლა პირიქითაა ყველაფერი. დღევანდელი ქართული ტელევიზიები, ირმა ინაშვილის თქმისა არ იყოს, „ოთხი არას“ პრინციპით მუშაობენ: „არა — სამშობლოს, არა — რწმენას, არა — ეროვნებას, არა - სქესს!“ ეს ყველაფერი კი კულტურასა და ზნეობაზე ხელის აღებაა. ზნეობისა და კულტურის უარყოფა არის სწორედ პირწავარდნილი პროსტიტუცია.

სხვა, ნორმალური ქვეყნების ტელევიზიებს რომ ვუყურებ, მშურს პირდაპირ! რა ცოდნასა და ინფორმაციებს აფრქვევენ, რა ზნეობასა და კულტურას ამკვიდრებენ, რა ეროვნული სულისკვეთებით არიან განმსჭვალულნი!

ჩვენ?

...მოდით, ერთ-ერთი პოპულარული ტელეარხის ერთი ჩვეულებრივი დღის პროგრამას გადავხედოთ: **07.30. „დილა მშვიდობისა, საქართველო“. 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია“, 11.00. სერიალი „იდუმალი ქალი“, 12.00. 15.00. 18.00. 20.00. 21.00. კურიერი. 12.30. შუა დღე, 15.30. კომედი შოუ. 17.00. სერიალი „ცრემლების გვირგვინი, 20.05. სერიალი „ერთგულების ძალა“, 22.00. „პროფილი“, 23.30. ტოპ-გოგო, 01.00. მხატვრული ფილმი (ინგლისურ ენაზე, რა თქმა უნდა!).**

ტელესერიალების შინაარსზე მსჯელობა ყოველგვარ აზრს მოკლებულია, რადგან ისინი ინკუბატორის წიწილებივით ჰგვანან ერთმანეთს. ისინი მხოლოდ სათაურებითა და პერსონაჟთა გვარ-სახელებით განსხვავდებიან, სიუჟეტები კი სტანდარტულია: მათი მხატვრული ინტრიგა იმაშია, რომ ვერ გაურკვევიათ, ვინ ვისი შვილია, ვინ ვისგან არის ფეხმძიმედ, ვინ ვისი ცოლისა თუ ქმრის დათრევას აპირებს; ამის გარკვევა, ცხადია, უჭირთ, რადგან ვერ გაიგებ, ვინ ვის ყვარობს, ვის ვისთან აქვს სექსი. ერთადერთი, რაც აშკარაა, ის არის, რომ ამ სერიალებში ყველაზე წესიერი, პატიოსანი, კეთილშობილი და უანგარო ადამიანები მამათმავლები, ანუ პედერასტები არიან და ფილმის ავტორები ყოველნაირად ცდილობენ მაყურებლის თანაგრძნობა მათზე იყოს მიმართული.

როგორც ჩანს, ქართულ ტელესივრცეში გაბატონებული ტელესერიალები ტვინის გამორეცხვის ერთობ ეფექტიანი საშუალებაა და

# ღმრთის სასჯელი არ აგვცდება და ღირსნიც ვიქნებით!

## ანუ პროსტიტუცია პროფილსა და ანფასში



პირველი შედეგებიც უკვე აშკარად ჩანს. ახლა ჩვენი დიასახლისების ერთ ნაწილს სერიალების გარდა, სხვა სალაპარაკო აღარაფერი აქვს, წინა დღეს ნანახ სერიალებში განვითარებულ ამბებს არჩევენ ერთმანეთში სერიალიდან სერიალამდე დარჩენილ მცირე დროში. ერთმა ჩემმა მეგობარმა ერთ-ერთ საჯარო გამოსვლისას მოსწრებულად იხუმრა: ნახევარი საქართველო ბლანკოს ქვრივზე აღვარღვარებს ცრემლებს და თავიანთი თანამემამულე ოთარაანთ ქვრივის ბედი სულაც არ ანაღვლებთო. ისიც გემახსოვრებათ, ჩვენი თანამემამულენი როგორ აგროვებდნენ თბილ წინდებსა და თბილ ტანსაცმელს მარიო ჩიმაროს პერსონაჟის დასახმარებლად.

**ტვინის გამორეცხვა სხვა კი არაფერია!**

გამორეცხილი ტვინის პატრონი ადვილად შეეგუება, ან სულაც ვერ გაიგებს საკუთარი მიწა-წყლის უცხოტომელებზე გასხვისებასა და თავისი გვარ-ჯილაგის დავიწყებასაც უპრობლემოდ მოახერხებს.

თანამემამულეთა ტვინის გამორეცხვისათვის გარჯა პროსტიტუციაა, აბა, რა ჯანდაბაა!

„დილა მშვიდობისა, საქართველო“ ტელეპროგრამის ერთობ იმედიანი დასახელებაა. პროგრამის წამყვანები მართლაც სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდები არიან და იქნებ მათი ცქერა სასიამოვნოც იყოს, მაგრამ ამ ერთობ ხანგრძლივი პროგრამის შინაარსიდან საზოგადოებრიობისთვის სასარგებლო საგანმანათლებლო ან საინფორმაციო სიახლის მიღების იმედი ნუ გექნებათ. აქ ფრიად მხიარულად და ერთობ არაკვალიფიციურად მსჯელობენ ჯანმრთელობის, ჭამა-სმის, ოთახის ყვავილების მოვლის, მუსიკალური საესტრადო ჯგუფების საქმიანობის, სპორტის და ა. შ. საყოველთაოდ ცნობილ საკითხებზე და ვითომ შინაურული ატმოსფეროს ილუზიის შექმნის მიზნით ერთმანეთთან ისეთი უაზრო რეპლიკებით გადადიან ალავერდს, რომ სერიოზული მაყურებელი, ალბათ, სირცხვილისაგან ფერს შეიცვლის. მათ ქართულზე კი (მეტყველებას ვგულისხმობ!) მართლაც უხერხულია საჯაროდ საუბარი.

სადილობისას, ასე, პირველის ნახევარზე, გვარიანად ხანგრძლივი გადაცემა იწყება — „შუა დღე“, ზუსტად ისეთი, შუადღისას არა, მაგრამ საღამო ხანს რომ შეიკრიბებიან ხოლმე კარგად ჩადაქალებულ-ჩაძმაკაცებული მეზობლები. ასეთი შეხვედრები თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ზესტაფონსა და გურჯაანში ქსენიასა თუ მაროს, სევასტისა თუ მიხოს რაში აინტერესებს რაზე ჭუკჭუკებენ თბილისში ლიკა და თიკა ან დიტო და მიტო. რაიმე სასარგებლოს გამოიტანენ მათი საუბრებიდან თუ რა?

აი, „პროფილი“ კი...

ამაზე ღირს ორიოდე სიტყვის თქმა, რადგან ნახევარი საქართველო ეკრანზეა მიჯაჭვული, „პროფილი“ რომ იწყება, მაშინ.

რატომ ჰქვია „პროფილი“ ამ გადაცემას, ვერაფრით მივხვდი. მე მგონია, პირდაპირ ანფასში ვუცქერით ხოლმე ამ ე. წ. შოუს წამყვანსაც და მის სტუმრებსაც.

რას არ ნახავ ამ შოუს „პროფილში“ კაცი: ნაცოლარებსა და ქმარგაშვებულებს, მათ შორის მრავალცოლგამოცვლილ კაცებსა და ამავე პროფილის ქალებს (ქმარგამოცვლილი კაცები და ცოლგანაშვები ქალები არ ჩანან ჯერჯერობით), ყოფილ და ახლანდელ შეყვარებულებს, გაშვილებულებსა და გამშვილებლებს, დაკარგულებსა და ნაპოვნებს...

წამყვანი ერთობ გულისხმიერი და ყველას მოყვარულია. ძირისძირობამდე აინტერესებს თითოეული სტუმრის ცხოვრების წვრილმანებიც კი: როდის და სად გაიცნო მომავალი მეუღლე, სიყვარული როგორ აუხსნა, როდის და სად აკოცა პირველად, ახლაც ისევე უყვარს თუ გადაუარა „სიყვარულის სახადმა“ და ა. შ. სტუმრებიც დაუზარებლად უპასუხებენ, წინათ რომ სათაკილოდ ითვლებოდა ისეთ კითხვებზეც. ერთი-ორი მორცხვი სტუმარი თუ გამოერია და საჩოთირო კითხვას თავი აარიდა, სწორედ ისინი ჩანან ხოლმე პროფილში, თორემ დანარჩენები ანფასშია ყველა.

იმის თქმა კი არ მინდა, აქ ჩამოთვლილ კითხვათაგან რომელიმე არალეგიტიმურიაო. არა! ჭორიკნებს ხშირად აინტერესებთ, ვინ ვის და როდის ხვდება, ვის რამდენი საყვარელი და ცოლი ჰყოლია, ვინ რა ფერის ნიფხავს ანიჭებს უპირატესობას. ამის შესახებ თუ ნაცნობ-მეგობრებს ჰკითხავს ვინმე, ამაში საგანგაშო რა უნდა იყოს, მაგრამ ამგვარი კითხვა-პასუხის ჩვენს გასაგონად გამოტანა და მისთვის პოპულარული არხის ტელეეთერში დროის დათმობა რა მიზანს ემსახურება? ერთადერთს: ჩვენმა ცივილიზაციას „ჩამორჩენილმა“ და „მოძველებული მენტალიტეტის“ მქონე საზოგადოებამ უნდა ირწმუნოს, რომ ხუთი-ექვსი ქმრისა და ცოლის, ან უკეთეს შემთხვევაში საყვარლის გამოცვლა არც კაცისთვის არის სათაკილო და არც ქალისთვის, პირიქით, ესაა პოპულარობისა და წარმატების საწინდარი. ამ აზრის დამკვიდრება რითი არ არის პროსტიტუცია? პროსტიტუციაა და ძალიანაც აშკარა!

ჩვენს პოპულარულ ტელეარხებზე დღეში 5-6-ჯერ საინფორმაციო გადაცემები გადის. იქნებ ეს გადაცემებია პროსტიტუციიდან შორს? არაფერი გეტკინოთ! იმ ტელეარხზე, ვისზეც ახლა ვლაპარაკობ, ცხრა წლის განმავლობაში ერთი მართალი სიტყვა არ თქმულა. ახლა, ე. წ. კოჰაბიტაციის დროში კი ამბობენ შიგადაშიგ სიმართლეს, მაგრამ ამ სიმართლეს ისეთი ნაცური სიცრუის კორიანტელს მოაყოლებენ ხოლმე ნაფიცი ნაცების პირით, რომ იმ სიმართლისაგან მხოლოდ მკრთალი სილუეტი რჩება.

ამ საინფორმაციო გადაცემების მთელი ინფორმაცია ის არის, რომ დღეში ხუთჯერ ვისმენთ, რა თქვა სამკაციანი პარტიის ლიდერმა პრეზერვატივის სარგებლიანობაზე და რა უპასუხა მას ოთხკაციანი პარტიის ბელადმა, როგორ ემუქრებიან ერთმანეთს დამარცხებული და გამარჯვებული პარტიების ლიდერები, როგორ იზრალებს თითოეული მათგანი ქვეყნის გადამრჩენის მისიას და როგორ ეჯიბრებიან ერთმანეთს მარჩენალის ერთგულებაში. უყურებს და უსმენს ამას გულუბრყვილო და მიმნდობი მაყურებელი და მისი ტვინი თანდათან უფრო და უფრო „სუფთავდება“.

**შენი ქვეყნის ტელემაყურებლის, ანუ ქვეყნის მოქალაქეთა ტვინების გასუფთავებაზე ზრუნვა, თანაც მაღალი ანაზღაურების პირობებში, პროსტიტუცია არ არის? აბა, რა არის?**

თორმეტის ნახევარზე დაწყებული გადაცემა „ტოპ გოგო“ რაც იქნება, ამის მიხვედრა ძნელი არ არის!

დაბოლოს, ღამის პირველ საათზე მხატვრული ფილმია, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზე და იგი, რაც უნდა ღირებული მხატვრული კინონაწარმოები იყოს, ქართველი მაყურებლისათვის არ არის გათვალისწინებული.

**ყოველივე ამას შემფასებლურ ენაზე პროსტიტუცია ჰქვია, არა მარტო გვერდულად, არამედ პირდაპირაც.**

მეორე პოპულარულ არხზეც ანალოგიური მდგომარეობაა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ საინფორმაციო სივრცეში ე. წ. კოაბიტაცია უფრო მეტად კოაბიტაციურ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგრამ ვერც ერთ არხზე ვერ გაიგებ რა ხდება მსოფლიოში და რა კავშირი აქვს იმ მსოფლიო პროცესებთან საქართველოს.

სერიალებთან ერთად, ჩვენს ტელეარხებზე ტვინის გამორეცხვის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად იუმორისტული ტელეშოუები მიუჩნევიათ და არც თუ უსაფუძვლოდ: „ღამის შოუ“, „დღის შოუ“, „კაცების შოუ“ (აქ კაცები რა შუაშია, ნეტავი?), „ვანოს შოუ“, „ოთარის შოუ“, „ნანუკას შოუ“ და ა. შ. ამ შოუებში აქა-იქ შეიძლება იუმორიც გამოჩნდეს, რომელიც მეტწილად წარსულში ცნობილი ანეკდოტების გამეორებაა, მაგრამ ყველა ამ შოუს იუმორთან ისეთივე კავშირი აქვს, როგორც ბებიაჩემ ოლღა არევაძეს იაპონიის იმპერატორის დინასტიასთან.

გენიალური ქართული იუმორის (რომელი კუთხისაც უნდა იყოს!) პატრონებს ამ „კომედიურ სისულელეებზე“ რომ არ გაეცინებოდათ, იცოდნენ ამ შოუს პატრონებმა და გადაწყვიტეს „სიცილი ესწავლებინათ“ ჩვენთვის. ამ მიზნით, ჩვენი „კომედიანტების“ უკბილო, უცხვირო და უტვინო „ღადავს“ ისეთი სიცილ-ხარხარის ფონოგრამები მოაყოლეს, რომ ჭაღები ზანზარებენ ჭერზე.

იციან ამ დედაგანათლებულებმა და მამაცხონებულებმა, რომ სიცილი გადამდებია, მით უფრო, გადამდები, თუ იგი მასობრივია. ისიც იციან, იმ მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იუმორის გრძნობა ადვილად შეიძლება მრუდე, ან სულაც უაზრო გზით წაიყვანო. ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ნორმალური ჭკუისა და გრძნობის კაცს გაუკვირდება, მაგრამ ფაქტია, რომ ზღვარდაუდებელი სისულელისა და „გოიმობის“ ქრესტომათიული მაგალითის „შუა ქალაქის“ მაყურებელს ფონოგრაფიულ სიცილ-ხარხართან ერთად თვითონაც ეცინება. „კაცების შოუში“ ხომ ფონოგრამაც არ არის საჭირო. თავიანთ პიტალო სისულელეებზე „თვითიუმორისტებს“ (ჩემი ტერმინია!) ისეთი ხარხარი აუტყდებათ ხოლმე, რომ მათი საცოდაობით ცრემლი მოადგება გულჩვილ კაცს. „ფარული კამერა“ ხომ სამართლებრივ ზღვარსაც გადადის: წესიერ საზოგადოებაში მის მონაწილეებს ან ცხირ-პირს გაუერთიანებდნენ, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდებოდათ.

და ბოლო, დიდი გულისტკივილით უნდა შევჩერდე პროსტიტუციის ყველაზე აღმაშფოთებელ ფაქტზე, რომელსაც, სამწუხაროდ, ათიათასობით უნებლიე მხარდამჭერი და ტაშისდამკვრელი ჰყავს. საქმე ეხება „ჯეოსტარს“, „საქართველოს ვარსკვლავს“, „ბრავოს“, „ახალ ხმას“, „ახალ საბავშვო ხმას“, „მაგთიფანსა“ და კიდევ სხვა მუსიკალურ კონკურსებს, რომლებიც თითქმის უწყვეტად გადაიცემა ჩვენს ტელესივრცეში. მთელ ამ მრავალრიცხოვან მუსიკალურ პროექტებში წლების განმავლობაში ბეჯითად იდევნებოდა ქართული სიმღერა და ახლა იგი ფაქტობრივად აკრძალულია; ვინმემ თუ შემთხვევით ქართულად იმღერა, კონკურსიდან გავარდნა არ ასცდება.

რა ხდება? ქართული საესტრადო სიმღერები აღარ გვაქვს? თუ ასეა, ჩვენი კომპოზიტორები ვირებს კოდავენ თუ რას აკეთებენ? ანდა მთელი მსოფლიო ესტრადა ინგლისურენოვანია? ნუთუ ინგლისური მართლა მშობლიურ ენად იქცა საქართველოში? არა, არ ქცეულა! ტელევიზიების გარდა, ინგლისურად თითქმის არსად მღერიან, არც ლხინსა და ქეიფში, არც ზეიმებსა და დღეობებზე.

**ეს სატელევიზიო მუსიკალური კონკურსები ჩვეულებრივი პროსტიტუციაა, რომელიც ჩვენი ეროვნული კულტურისა და მენტალიტეტის გადაგვარებისაკენ არის მიმართული.**

**დროზე თუ არ გამოვფხიზლდით, ჩვენი ლიბერალისტები (ლიბერტარიანელები!) მალე დაგვამხობენ თავზე ღირებულებათა იმ სისტემას, რომლისადმი ერთგულებამაც გამოატარა ქართველი ერი ქარტეხილების სამიათასწლოვან გზაზე და გეიაღლუმებს ჩაატარებენ კი არა, დედაქალაქის ცენტრში პედერასტების ძეგლებსაც დაგვიდგამენ.**

**აი, მერე კი, სოდომ-გომორის ცოდვისთვის ღვთის სასჯელი არც ერთს არ აგვცდება და ღირსნიც ვიქნებით!**

**ზურაბ ცუცქირიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**პატივგება**

**„მე დავიბადე მსოფლიოს უმცირეს და უმოკლეს მდინარის პირას. მას ჰქვია სახელად ზანა. მე მომიხდა რამდენიმე უნივერსიტეტში სწავლა ლენინგრადში, კენიგსბერგში, ლაიფციგში, მიუნხენში, პარიზში, ბოლოს ბერლინში. ყველგან და ყოველთვის მე მიხდებოდა გაჯიბრება გერმანელებთან, ებრაელებთან, პოლონელებთან, ამერიკელებთან და ფრანგებთან.**

**არავის ვუმხელდი, მაგრამ ჩემს თავს ვეუბნებოდი:**

**„შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირად შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირად დაბადებულთა“ ... (კონსტანტინე გამსახურდია)**



# უმცირესი მდინარის პირად შობილი უდიდესი შემოქმედი

## ტრადიციული „კონსტანტინეობა“ აბაშაში

სწორედ ამ მდინარის პირას, იმ არემარეში, სადაც დაიბადა მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის ჩოხოსანი რაინდი, სოფელ ძველ აბაშაში, მწერალი აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმში გაიმართა ამ დიდი ხელოვნის 120-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სახალხო ზეიმი „კონსტანტინეობა“, რომელიც ტრადიციად იქცა არამარტო აბაშელთათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. ზანის პირას ეს გულთბილი შეხვედრა არასოდეს დაავიწყდებათ აქ მობრძანებულ ადამიანებს, მარად სახსოვარი დღე გაუმქრალი დარჩება დიდოსტატის კალმის მოტრფიალეთათვის.

„კონსტანტინეობას“ ესწრებოდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, მოქალაქეები, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან. მათ ჰქონდათ საშუალება დაეთვალიერებინათ კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი, გამოფენილ ექსპონატებში ამოეკითხათ და ეხილათ უბადლო მწერლის ხელნაწერები, ფოტოები, სხვა პირადი ნივთები... მოეფერებოდნენ კედლებს, სადაც ტრიალებს ჭეშმარიტი, დიდი ქართველის კონსტანტინეს სული.

ეს დღე დიდი კონსტანტინეს მშობლიური სახლის აივნიდან მოგვილოცეს კულტურის მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკინიმ და კულტურის მინისტრის მრჩეველმა გიორგი გეგეჭკორმა, რომელმაც ულამაზესი ლექსი წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას.

მწერლის ცხოვრების, მისი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს გამომსვლელებმა. ისმოდა მეგრულ-აფხაზური სიმღერები: „კუჩხი ბედინერი“, „შარატი“, „ოდოია“, რომელსაც ანაცვლებდა ასევე მხატვრულად და შთამბეჭდავად წაკითხული გიორგი მეფის მონოლოგი, ლექსები მიძღვნილი დიდი მწერლისადმი. საოცარი ემოციური დატვირთვა შეიძინა ღონისძიებამ, როცა გაისმა დიდოსტატის ხმის აუდიოჩანაწერი, რომელმაც მოიცვა თითოეული დამსწრეთაგანის გული, ბუნებრივია, ეს ამაღელვებელია ქართველისათვის, მით უმეტეს აბაშელთათვის, რამეთუ დიდოსტატმა წარსული აალაპარაკა აწმყოსა და მომავლის გასაგონად, რადგან მან კარგად იცოდა დიდი ილიას შეგონება: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო წარსულისა“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი „ჰარირა“ (ქორეოგრაფი ან. თორდია) და ქორეოგრაფიული ანსამბლი „ანანური“ (ქორეოგრაფი ე. გაბელაია).

ზანის პირას სახალხო ზეიმი დასრულდა მეგრული საფერხულო ცეკვით „ჯარალუათი“.

**...სასწაული, სხვა რა უნდა ეწოდოს „მიჩქმალული გმირობის ქომაგის“, „დიდი ხელოვნების იგავმიუწვდომელი ოსტატის“, ქართული სიტყვის მსახურის კონსტანტინე გამსახურდიას ფენომენს...**

**ვერიკო ჯიბლაძე,**
გაზეთ „აბაშის მაცნეს“ რედაქტორი.
„სრ“ სპეც. კორ.







**პოზიცია**

# მოსალოდნელი არჩევანი,

## ანუ გაბლეფებული ბლეფი

**(მესამე გვერდიდან)** არჩევანი იყო აქამდე აბსოლუტურად აპოლიტიკურ პიროვნებებს (პაატა ბურჭულაძე, გია დვალი, ნაწილობრივ – დავით მაღრაძე) და ისეთ ლიდერებს შორის, რომლებიც პოლიტიკაში კი არიან, მაგრამ მათ უკან რაიმე პოლიტიკური პარტია ან ჯგუფი არ დგას (კახი კალაძე, გიორგი მარგველაშვილი). აქაც ლოგიკური იყო, რომ არ დასახელებულიყო პოლიტიკურად გამოუცდელი პიროვნება, რომელსაც წინასაპრეზიდენტო დებატებში გაუჭირდებოდა ნაცმოძრაობის დაქოქილ დემაგოგებთან პაექრობა, ან სუფთა დეკლამატორულად (როგორც გია დვალს, ან პაატა ბურჭულაძეს), ან – პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით (როგორც, მაგ. დავით მაღრაძეს).

დარჩენილ ორ ფიგურას შორის სწორედ დებატების გამოცდილების, ფილოსოფიური „ბექგრაუნდის“, დახვეწილი იუმორის/ირონიის გათვალისწინებით, არჩევანი საბოლოოდ გიორგი მარგველაშვილზე გაკეთდა.

აქვე მინდა, მოვიბოდიშო იმის გამო, რომ აქამდე არ ვახსენე ვახტანგ ხმალაძე, რომელიც პირადად ჩემთვის ყველაზე ახლოს არის იმ ტიპის სამაგალითო პრეზიდენტთან, როგორც ვაცლავ ჰაველი იყო (თუმცა, ქარიზმატულობაში ჩამორჩება, ალბათ, მაგრამ წესიერებაში – ნამდვილად არაფრით, ხოლო პოლიტიკური/იურიდიული გამოცდილებით კი სჯობს კიდეც ლამის!). ბატონ ვახტანგს, რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, მისსავე პარტიის ლიდერმა „დაუდო კვანტი“ . გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმ პირობებში, როცა სადღეისოდ ქვეყანას ორი გამოკვეთილი ლიდერი – ბიძინა ივანიშვილი და დავით უსუფაშვილი ჰყავს, უმაღლეს თანამდებობაზე რესპუბლიკური პარტიის კიდევ ერთი წარმომადგენლის მოვლინება ძალიან სერიოზულ დისბალანსს მოიტანდა ფორმალურად 6-წევრიან კოალიციაში.

სალომე ზურაბიშვილი ნამდვილად იმსახურებს სერიოზულ თანამდებობას, თუნდაც მარტო იმის დასამტკიცებლად, რომ „ქართულ ოცნებას“ მართლაც სათავისოდ ჩაკეტილი არ აქვს საკადრო რესურსის ზარდახშა! არ გამიკვირდება, თუ ახლო მომავალში ქ-ნი სალომე რაიმე პრესტიჟულ პოსტს მიიღებს და ამ მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრობის გარდა, მეროაბაც არაა გამორიცხული, სადაც მეორე კონკურენტს – თინა ხიდაშელს ზუსტად იგივე პრობლემა ელობება, რაც ვახტანგ ხმალაძეს (თან, უფრო მეტადაც კი).

რაც შეეხება არმაზ ახვლედიანს, მე პირადად კანდიდატად მისი დასახელებაც კი გამიკვირდა, რადგან იგი სულ რაღაც 1 თვის წინათ გახდა „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და აქტიური პოლიტიკოსი, და მოსახლეობა მას ცუდად იცნობს (ან იცნობს შევარდნაძის დროიდან – უფრო უარესი...). ბატონ არმაზს სულაც არ ვაფასებ გიორგი მარგველაშვილზე ნაკლებ პოლიტიკოსად, მაგრამ ცნობადობა მაინც სერიოზული ფაქტორია.

ახლა, როცა თეთრებმა მეფის გამბიტი აირჩიეს, არადანი შავებზეა!

ნაცმოძრაობისათვის, გიორგი მარგველაშვილი, ალბათ, ყველაზე ცუდი, უხერხული მეტოქეა. მას არ აქვს ხანგრძლივი პოლიტიკოსობის ბაგაჟი, საიდანაც ნაცმოძებს და მათ ერთგულ „რუსთავი2“-ს რაიმე კომპრომატის ამოქექვა არ გაუჭირდებოდათ, მას ვერ დააბრალებენ პრორუსულობას, და მას საკმაოდ უჭრის ტვინიც და ენაც, რომ ნებისმიერ პოტენციურ კანდიდატთან კამათი არ გაუჭირდეს.

ნეცმოძებმა სწორი ქნეს, როცა საკუთარი კანდიდატის დასახელება არ იჩქარეს. წარმოიდგინეთ, რა ფიასკო იქნება მარგველაშვილთან დაპირისპირებული მერაბიშვილი! ის კი არადა, მარგველაშვილის დასახელებით დავით ბაქრაძის შანსებიც სერიოზულად შემცირდა. გიორგი ვაშაძე მე ყოველთვის მეორე კალიბრის პოლიტიკოსად მიმაჩნდა, ხოლო ბარამიძეს ისეთი „ბაგაჟი“ აქვს, რომ წესით კანდიდატად კი არა, ცისკარიშვილივით სადმე გაყურსული უნდა იმალებოდეს... ასე რომ რეალური კონკურენტი რჩება ორი – გიგი უგულავა და გიგა ბოკერია.

ამ ორს შორის მე უფრო რეალური ბოკერია მგონია. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლო მომავალში საპრეზიდენტო კანდიდატის სტატუსს ერთი სერიოზული მომხიბვლელობაც ექნება – იგი ხომ არჩევნებამდე იმუნიტეტის ტოლფასი იქნება. ეს კი დღეს ჰაერივით, სწორედ უგულავას, მერაბიშვილს და ბარამიძეს სჭირდებათ. ასე რომ ვნახოთ... მოლოდინისთვის დრო ბევრი არაა, ორშაბათიც გათენდება.

**სოლომონ თერნალი**

**P. S. ხოლო რაც შეეხება იმ ვარიანტს, რომ ირაკლი ალასანია დამოუკიდებელ კანდიდატად მოინდომებს არჩევნებზე კენჭისყრას, მე ალასანია გაცილებით უფრო ჭკუადამჯდარ პოლიტიკოსად მიმაჩნია, რომლისთვისაც დიდი პოლიტიკური კარიერა ახლა იწყება... და ვნახოთ, ვინ უფრო კარგად იცნობს მას – ირმა ნადირაშვილი თუ თქვენი მონა-მორჩილი. თუ აღმოჩნდა, რომ ირმა მართლაც ფსაიქიქი ყოფილა, წინასწარ ვაცხადებ, რომ ჩემთვის ირაკლი ალასანია პოლიტიკურ წარსულში დარჩება.**

**ს. თ.**

**ინფორმაცია**

# ტრიპოლსკი მამულაიშვილს პასუხს აგებინებს

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ტრიპოლსკი კომპანია „რუსმეტალთან“ კავშირს უარყოფს და აცხადებს, რომ წარმოდგენა არა აქვს, რას საქმიანობს „რუსმეტალი“ და ვინ არიან მისი მფლობელები.**

**„რუსმეტალის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბიზნესმენ ზაზა მამულაიშვილის განცხადებას, ტრიპოლსკის მიერ კომპანიის მეწილეთა ლობირების შესახებ, დეპუტატი „სიცრუესა“ და „მონაჩმახს“ უწოდებს.**

**– აღშფოთებული ვარ ამ სიცრუით. წარმოდგენა არ მაქვს, რა კომპანიაა „რუსმეტალი“, არც ზაზა მამულაიშვილს ვიცნობ, არც მინდელებს ვიცნობ, არასდროს არანაირი შეხება არ მქონია და არც ვიცი, რას აკეთებენ. არ ვიცი, საიდან გაჟღერდა ჩემი სახელი და ამ საქმეს, ალბათ, ასე არ დავტოვებ. მე ამ ადამიანს ჩემი პატივისა და ღირსების შელახვის გამო პასუხს მოვთხოვ. არასდროს, არანაირ ბიზნესთან არანაირი კავშირი არ მქონია, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ირაკლი ტრიპოლსკიმ.**

**შპს „რუსმეტალის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის ზაზა მამულაიშვილის განცხადებით, „თუ ადრე „რუსმეტალის“ მეწილეებს მინდია მინდელის ძმა ლაშა მინდელი მფარველობდა, ახლა მათ ირაკლი ტრიპოლსკი მფარველობს. მამულაიშვილის თქმით, ამასთან დაკავშირებით მას დადასტურებული ინფორმაცია აქვს.**

**ბიზნესმენის თქმით, იგი შპს „რუსმეტალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, თუმცა, მეწილეებთან მომხდარი უთანხმოების გამო, ამჟამად კომპანიის საქმიანობის პროცესში ველარ მონაწილეობს.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მოლოდინი**

**პენსია უნდა ჰქონდეს პენსიონერს თუ პენსიონერი — პენსიას? ეს კითხვა მიშნაცებს, როგორც მახსოვს, ერთხელაც არ დაუსვამთ. შეიძლება გუნებაში კიდეც აპირებდნენ ამის რაიმე ფორმით „გაჟღერებას“, მაგრამ როგორც მათ სჩვეოდათ, ეს ამბავი ფიგურალურად, ღიად და საჯაროდ, არასდროს გაუხმაურებიათ. სამაგიეროდ მიშა, იქნებოდა ეს ზესტაფონელ მოზარდებთან წინასაარჩევნო შეხვედრა თუ ევროპარლამენტის ავტორიტეტული ტრიბუნიდან გამოსვლა, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, საქართველოს პენსიონერებისთვის შეპირებული 100-დოლარიანი პენსიით არ წაეტრაბახა. დანაპირებს ალბათ შეასრულებდა კიდეც, ისევე როგორც შეასრულა ყველა სხვა დაპირება, წინ საპარლამენტო არჩევნები და სახელისუფლებო ცვლა რომ არ გამოსჩხირვოდა. სამწუხაროდ, სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადის გაწელვამაც ველარ უშველა, ივანიშვილის მთავრობამ მას, ისევე როგორც ბევრი სხვა პროგრამის, ამ დანაპირების შესრულების შანსიც მოულოდნელად ხელიდან გააგდებინა.**

არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ასეთმა დაუნდობლობამ პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, გული ძალუმად ატკინა (აკი გითხარით, სააკაშვილს აქნობამდე არც ერთი პროგრამა-დაპირება არ ჩავარდნია!), მაგრამ სამაგიეროდ გაიხარა ასაკოვანმა ამომრჩეველმა, რომელსაც „ქართული ოცნება“, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად, პენსიების მნიშვნელოვან ზრდასაც შეპირდა. თუმცა, შეპირება ერთია (ეს ხალხს წინა ხელისუფლებისგან უფასოდ ურიგდებოდა), რეალური საქმე კიდევ — მეორე. ჰოდა, საქმიდან გამომდინარე, როგორია შედეგი, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ რეალურად დადო?

— ძალიან კარგიო, — გვარწმუნებენ მეოცნებენი, — 1 აპრილიდან ასაკით პენსიონერების პენსია 125 ლარამდე გაიზარდაო, თუ აქამდე ამ რაოდენობის პენსია მხოლოდ 67 წელს გადაცილებულები იღებდნენ, ამიერიდან გაზრდილ პენსიას (125 ლარი) ყველა პენსიონერი თანაბრად იღებსო. ამით არ დამთავრებულა, 1 სექტემბრიდან პენსია დამატებით კიდევ 25 ლარით გაიზრდება და პენსიონერები ყოველთვიურად ჯიბეში 150 ლარს ჩაიჩხრიალებენო.

ვერაფერს შეედავები. რა თქმა უნდა, კარგი საქმე გაკეთდა, რომ 67 წლამდე ასაკის პენსიონერებსაც ამიერიდან 125-ლარიანი პენსია ეძლევათ (ასაკობრივი დაყოფა ყოვლად გაუმართლებელი იყო), მაგრამ ცუდია ის, რომ ხელისუფლება ამ ფაქტს ამოეფარა და ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ქვეყანაში პენსიები საერთოდ გაიზარდა. აბა რანაირად გაიზარდა, ბატონებო, როცა 67 წელს გადაცილებულ პენსიონერებს დღემდე კაპიკიც არ მომატებიათ?

— რა გვეჩქარება, ახლავე რომ გავზარდოთ პენსია, შეიძლება ფული გაუუფასურდეთ, აი სექტემბრიდან კი, როცა კარტოფილის მოსავალიც შემოვა, 150-ლარიანი პენსია გაცილებით ეფექტური იქნებაო, — იხუმრა ვითომ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა. თუმცა, მას რატომღაც არ დაუსვამს კითხვა, რომელიც დღეს ბევრს აინტერესებს: რამდენ დღეს მოახერხებს ერთი რიგითი პენსიონერი თავის გატანას ამჟამინდელი 125-ლარიანი პენსიით? ვერ გეტყვით, ფინანსთა სამინისტროში აქვთ თუ არა ამ არცთუ მარტივი კითხვის პასუხი, აი, „ბიზნეს-რეზონანსი“ კი მიახლოებითი არითმეტიკული გათვლებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს თანხა პენსიონერისთვის მხოლოდ 18 დღის საკმარისია(!).




# ბევრს გვპირდებოდნენ, ცოტას ასრულებენ!

## საარსებო მინიმუმის გადასინჯვა რატომ მიჩუმათდა?

მათი გათვლებით, პენსიონერმა რაც უნდა მომჭირნეობით ხარჯოს თანხა, მას თვეში საშუალოდ პურში, ცხიმსა და შაქარში 21 ლარის გადახდა მაინც მოუწევს, ბურღულეულებში — 8 ლარის, კარტოფილში — 6-8 ლარის, ხორცში — 25 ლარის. კომუნალურ გადასახადებში ზამთრის სეზონზე 70 ლარი დასჭირდება, მედიკამენტების შეძენაზე, თუ არ უჩივის განსაკუთრებულ დაავადებებს — 35 ლარი. ეს არ არის სრული ჩამონათვალი, ყველაფერი რომ ვიანგარიშოთ, საბოლოო ჯამში, პენსიონერის თვიური ხარჯები 180-200 ლარამდე გაიზრდება, მისი პენსია კი სულ რაღაც 125 ლარია.

ვიცითო, გვეტყვიან ხელისუფალნი, მაგრამ რამდენიმე თვეში პენსია დღევანდელი საარსებო მინიმუმის ტოლი (150 ლარი) გახდება და პრობლემაც მოიხსნებაო. მაგრამ 150 ლარიც რომ არ ჰყოფნის პენსიონერის გაჭირვებას?

დარწმუნებული ვარ ესეც მშვენივრად იციან, თანაც ახლა კი არ მიხვდნენ, მანამდეც იცოდნენ, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, „ოცნების“ ლიდერები არჩევნებამდელ პერიოდში ასე ხმამაღლა არ შეპირდებოდნენ ხალხს — მთავრობაში რომ ვიქნებით, პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოიაზრებოდესო. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ აზრს დღესაც იზიარებს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 360 ლარის ტოლფასია. აქედან გამომდინარე, საარსებო მინიმუმი, არსებულ ფასებთან შედარებით, არის ძალიან დაბალი და ის აუცილებლად უნდა გადაიხედოს.

ჰოდა, თუ გადასახედია, გადაიხედოს, ვინ არის ამის წინააღმდეგიო? — იკითხავთ თქვენ. როგორც ვიცი, წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ მსურველიც რომ დღემდე არავინ გამოჩნდა? რაღა თქმა უნდა, ლაპარაკია მთავრობის სურვილზე, რომელიც თუკი მოიწადინებდა, საარსებო მინიმუმის გროშების დათვლას რა დიდი ფილოსოფია და ფინანსები სჭირდებოდა. ფინანსები დათვლას კი არა, აი, იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად პენსიების გაზრდა რომ მოუწევს. ჰოდა, როგორც ჩანს, საარსებო მინიმუმის გადასინჯვის საკითხი დღესდღეობით ამიტომაც მიჩუმათდა(!).

გადასასინჯია თვით საარსებო მინიმუმში სასურსათო კალათის ღირებულებაც. კერძოდ, საუბარია ხსენებულ მინიმუმში სასურსათო და არასასურსათო ხარჯების თანაფარდობაზე (70/30-ზეა), რაც ქვეყანაში აშკარად მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიგვანიშნებს. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი პირიქითაა — სასურსათო ხარჯზე უფრო ნაკლები მოდის, ვიდრე არასასურსათოზე. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, სურსათის წილი 20 პროცენტია, ზოგან უფრო ნაკლები, მაგრამ ის რაც ჩვენთანაა (70 პროცენტი), ყოველგვარ რეკორდს ზღვარგადასულია.

ჰოდა ასეთ უსაზღვროდ წარმატებულ ქვეყანაში რა გასაკვირია, რომ შრომისუნარიანი მამაკაცის სახელმწიფოს მიერ მინიმალურ ნორმად დათვლილ რაციონში ყველაზე დიდი წილი პურს (579,6 კილოკალორია) და კარტოფილის (80,4 კილოკალორია) უჭირავს. საერთაშორისო ნორმებით, ხორცისა და ხორცპროდუქტების დღიური რაციონი ზრდასრული ადამიანისთვის შეადგენს 200 გრამს, საქართველოში კი სულ რაღაც 70 გრამია, პურისა და პურპროდუქტების ნორმაა 200 გრამი, ჩვენთან — 380 გრამი, მოხმარება კი 700 გრამი. პროდუქტების ის რაოდენობა, რაც დღეს ქართულ მინიმალურ სასურსათო კალათაშია, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, 3,5-4 წლის ბავშვის კვების რაციონსაც კი ჩამორჩება(!?).

სამაგიეროდ, საქართველოში განუზომლად მაღალია დემოკრატიისა და კოჰაბიტაციის ხარისხი და კიდევ უფრო მაღალი ჩინოვნიკთა სახელფასო და საპრემიო უზრუნველყოფა. ამის ნიმუშად გამოდგება თუნდაც კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, რომლის წევრებმა კარგა ხანია უარი თქვეს 3-4 წლის ბავშვის ულუფით კვებაზე და ხელფასთან ერთად პროგრესულად მზარდ პრემიალურ ანაზღაურებაზე (წლიური 60-80 ათასი ლარი) გადავიდნენ. შესაბამისად, ახალმა ხელისუფლებამ, რომელსაც გაუჭირდა დღევანდელი საარსებო მინიმუმის გამოთვლა, რატომღაც იოლად გამოთვალა მინისტრთა დამსახურებით ქვეყანაში მიღწეული შედეგები და არსებული ხელფასები (3500 ლარი) სასწრაფოდ გაუორმაგა!

კიდევ კარგი ხალხს არაფერი ავიწყდება და ჯერ კიდევ ახსოვს „ქართული ოცნების“ გახელისუფლებამდელი გულუხვი დაპირებები, რომელთაგან უპირველესი იყო ქვეყნად სამართლიანობის, მათ შორის სოციალური სამართლიანობის აღდგენა, რაც ძალიან ჭიანურდება ან საერთოდ არ სრულდება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ერთ ნაწილში, არცთუ უსაფუძვლოდ, გაჩნდა აზრი, რომ „მეოცნებენი“ ბევრს გვპირდებოდნენ, მაგრამ ცოტას ასრულებენ. თუმცა, ამ აზრს არ ეთანხმება პრემიერი ივანიშვილი, რომელმაც ამას წინათ განაცხადა, რომ „ოცნების“ ყველა დაპირება გადაჭარბებით სრულდება.

პატივცემულო მკითხველო, ამასთან დაკავშირებით, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით?

**ოთარ ხუციშვილი**

**ოფშორლიქსი**

# კატა-თაგვობანა ფარული ეკონომიკის „ჩრდილში“

**შეღავათიანი დაბეგვრის, ანუ ოფშორულ ზონებთან დაკავშირებული მსოფლიო რეზონანსის მქონე მოვლენები, როგორც ჩანს, სულ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. სხვადასხვა ქვეყნის მაღალი რანგის ჩინოსნები, მსხვილი კომპანიების მფლობელები, გამდიდრებული პოლიტიკოსები, ოლიგარქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ცოტა ხნის წინათ „კვიპროსული ოფშორული სამოთხის“ „ჩაძირვა“ გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მოწყობილი აქცია იყო, რომელიც მან მომავალი არჩევნებისთვის მზადების პროგრამის ფარგლებში განახორციელა. მრავალი მათგანი პირდაპირ გამოთქვამდა აზრს, რომ გერმანიაში არჩევნების ჩავლის შემდეგ ვითარება ჩაცხრებოდა, მაგრამ ბოლო დრომდე ნაკლებად ცნობილმა ამერიკულმა „ჟურნალისტურ გამოძიებათა საერთაშორისო კონსორციუმმა“ მოულოდნელად განაცხადა, რომ ხელთ ჩაუვარდა 2,5 მილიონი დოკუმენტი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ოფშორულ ზონაში განთავსებულ 122 ათას კომპანიის შესახებ.**

მათ შორისაა თავიანთ ქვეყნებში გადასახადებისგან თავის ამრიდებელ პირთა პირადი დოკუმენტები, ინფორმაცია საბანკო ოპერაციების შესახებ და სხვ. (რომელიც 170 ქვეყნის მოქალაქე 130 ათას კაცს ეხება, რომელთა შორის პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ჩინოსნები არიან). აპრილში ამ დოკუმენტების პირველი „ულუფა“ გამოქვეყნდა, კონსორციუმის წარმომადგენლებმა მამხილებელი სხვა დოკუმენტების გამოქვეყნების პირობაც დადეს.

ექსპერტთა აზრით, ეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამოქვეყნება შემთხვევითი გაჟონვა კი არა, კვიპროსის ოფშორული საბანკო სისტემის ძირის გამოთხრაზე მიმართული აქციის ლოგიკური გაგრძელებაა.



გამოქვეყნებული კომპრომატული მასალების „მოქმედ პირთა“ შორის არიან საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის საარჩევნო კამპანიის ხაზინადარი, მონღოლეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი, ვენესუელელი გენერალი, კოლუმბიის ყოფილი პრეზიდენტის ორი ვაჟიშვილი, ფილიპინის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილი, კუვეიტის შეიხი, ბრიტანელი მილიონერი, ხელოვნების ნიმუშების მსოფლიოში ცნობილი კოლექციონერი ესპანელი ბარონესა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოჯახი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი...

კონსორციუმის წარმომადგენელთა განცხადებით, მათი მიზანია ეროვნული ეკონომიკების „შავ ხვრელებთან“, ოფშორებთან ბრძოლა. **სხვადასხვა შეფასებით, ოფშორულ ზონებში 21-დან 32 ტრილიონ დოლარამდეა „გადამალული“**. ამასთან, ექსპერტები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საქმე მარტო გადასახადების გადაუხდელობაზე არ არის, უბედურება ისაა, რომ **სახელმწიფო ჩინოსნის, სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელის, მათი მეუღლეებისა და უახლოესი ნათესავების ნებისმიერ ოფშორს კორუფციის დამღა ადევს.** თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ „ჟურნალისტურ გამოძიებათა საერთაშორისო კონსორციუმის“ მიერ კორუფციასთან ბრძოლის წამოწყებული აქცია უფრო ნაკლებად კეთილშობილურ მიზანთა მქონე სხვა ოპერაციის შესანიღბადაა საჭირო. **მრავალ პუბლიკაციაში მთავარი სამიზნე არა ოფშორებია, არამედ ცალკეული ოლიგარქები, პოლიტიკოსები, სახელმწიფო მოღვაწეები, ბანკირები, ანდა, სულაც, მთელი ქვეყნები — ჩინეთი, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო...**

ერთ-ერთი ვერსიით ამჟამად შეგნებულად მიმდინარეობს კონკრეტული ოფშორების რბევა, რათა იქაური კლიენტები თავიანთ ფულიანად რჩეულ და ხელშეუხებელ ნავსაყუდელთა მცირერიცხოვან ჯგუფში „გადარეკონ“. ყველაფერი კვიპროსით დაიწყო, შემდეგ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებს „დააყარეს“... არსებობს კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმად „ოფშორლიქსის“ მიზანი არა ცალკეული ოფშორული ზონების დარბევა, არამედ მთელი მსოფლიო ეკონომიკის დესტაბილიზაცია და მისი მართვადი ქაოსის მდგომარეობაში გადაყვანაა.

იხ. 11 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# 10. იქნებ პაპა...

**დედოფალმა** ვილჰელმინამ სასიძოს ძებნა 20-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და 1936-ში იპოვა ოლიმპიურ გარმიშ-პარტენკირხენში. მანამდე მას უკვე შეეკრიბა ინფორმაცია გერმანელ პრინც ბერნჰარდ ფონ ლიპე-ბიესტერფელდზე, აქ კი ბერნჰარდი და პრინცესა იულიანა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. მერე მომავალი პატარძალი სოლიდური ამალით რეკენვალდში ესტუმრა ლიპე-ბისტერფელდებს ქორწილის დეტალებზე მოსალაპარაკებლად. ოჯახის უფროსი ორი წლის წინ გარდაცვლილიყო და სასიძოს მხრიდან მოლაპარაკების მაგიდას დედამისი, პრინცესა არმგარდი და მამობილი, ალექსი ფანჩულიძე უსხდნენ.

ნიკოლოზ II-ის გადადგომამ თუ გადაყენებამ, მისი ძმის უარმა ტახტის მიღებაზე და საერთოდ, მონარქიის გაუქმებამ რუსეთში, რუსულმა რევოლუციებმა და მათ შედეგად ატეხილმა სამოქალაქო ომმა ქვეყნის ბედი ხომ შეცვალა და შეცვალა, ექვს მილიონამდე ადამიანი შეიწირა და კიდევ უფრო მეტს სამუდამოდ შეუცვალა ცხოვრება.

ერთი მათგანი იყო პოლკოვნიკი ალექსი ფანჩულიძე, იმპერატორის ლეიბ-გვარდიის ჰუსართა გროდნოს პოლკის ესკადრონის მეთაური, შთამომავლობითი კავალერისტი.

ფანჩულიძეები წარმოშობით იმერეთიდან არიან, ჩხარიდან. ამ გვარმა უფრო რუსეთში გაითქვა სახელი — როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სამსახურში. მან რუსეთის იმპერიას ოთხი გუბერნატორი, თავადაზნაურობის სამი წინამძღოლი და ოთხი გენერალი, მათ შორის — 1812 წლის ორი გმირი მისცა. როგორც ჩანს, რუსეთს ჩასულმა პირველმა ფანჩულიძემ — დავით მათეს ძემ — ან იმთავითვე თავადად წარადგინა თავი, ან ტიტული ხანგრძლივი და ერთგული სამსახურისთვის იმპერატორმა უბოძა, რადგან მისი შთამომავლები უკვე „კნიაზია პანჩულიდზევებად“ მოიხსენებიან.

ფანჩულიძეების ამ შტოს წარმომადგენელთა უმრავლესობა კავალერიაში მსახურობდა, და ვინც არა, ისიც შესანიშნავი მხედარი იყო. კავალერისტი გახლდათ ალექსი ევგენის ძე ფანჩულიძეც, რომელიც1888 წლის 18 სექტემბერს დაიბადა რუსეთში, დაბა პიატიგორსკში, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის ოჯახში.

როგორც წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, იგი პაჟთა კორპუსის დამთავრებისთანავე ჰუსართა პოლკში ჩარიცხეს და რომ არა 1917 წლის რევოლუცია, რომელსაც იგი პოლკოვნიკის ჩინით შეხვდა, ისიც, სახელოვან წინაპართა მსგავსად, ალბათ, გენერალი გახდებოდა. სამხედრო კარიერის პარალელურად, ახალგაზრდა ოფიცერი ცხენოსნობასაც მისდევდა, როგორც სპორტის სახეობას, და საერთაშორისო სარბიელზეც თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდა: 1911 წელს ავსტრიაში გამართული ასპარეზობებისას 22 წლის ახალგაზრდას ორი პრიზი მოეგო ცხენის გაწვრთნაში — საიმპერატორო და ქალაქ ვენისა. 1914 წელს მან კვლავ გაიმარჯვა ვენაში გამართულ ცხენოსანთა შეჯიბრებაში, ამჯერად — დაბრკოლებათა გადალახვაში. გამარჯვებულისთვის ჯილდო, წესით, იმპერატორ ფრანც-იოზეფს უნდა გადაეცა, მაგრამ სარაევოში უკვე მოეკლათ ფრანც-ფერდინანდი და ის ომიც უკვე დაწყებულიყო, მალე პირველი მსოფლიო რომ დაერქმევა. ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის იმპერიებს შორის იმხანად არსებული დაძაბულობის გამო იმპერატორის პრიზის ნაცვლად ორგანიზატორებმა რუს მხედარს სიგელი გადასცეს. სამაგიეროდ, ალექსი ფანჩულიძე უკვე პეტროგრადად გადასახელდებულ სანკტ-პეტერბურგში ნიკოლოზ II-მ მიიღო, სამახსოვრო ოქროს მედლით დააჯილდოვა და პოლკოვნიკის ჩინიც უბოძა.

არის დაუზუსტებელი ცნობა, რომ იმპერიის ერთ-ერთი საუკეთესო მხედარი ალექსი ფანჩულიძე 1912 წელს სტოკჰოლმშიც იყო ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც რუსეთის ცხენოსანთა ოლიმპიური გუნდის სათადარიგო წევრი, მაგრამ თამაშებში მას მონაწილეობა არ მიუღია. „სამაგიეროდ“, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მან მონაწილეობა მიიღო იმავე სტოკჰოლმში 1956 წლის ოლიმპიადის პროგრამით გამართულ ცხენოსანთა ასპარეზობაში, როგორც ჰოლანდიის წარმომადგენელმა, და 36 მონაწილეს შორის 28-ე ადგილი დაიკავა.

„კოლონელ ალექსის პანჩულიდზევ“ — ასეა მოხსენიებული ოდესღაც რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი ქართველი მხედარი ჰოლანდიურ მედიასა და ოლიმპიურ ანალებში.

თუმცა, ჰოლანდიურ მედიამდე და ოლიმპიურ ანალებამდე ჯერ შორი იყო. რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. რევოლუციის მომდევნო პერიოდში გროდნოს ჰუსართა პოლკი ძირითადად რეზერვში იდგა, მას არც რევოლუციურ მოვლენებში მიუღია მონაწილეობა და დიდად არც მსოფლიო ომი შეხებია.1919 წლის 27 მაისიდან გროდნოელი ჰუსარები ახალჩამოყალიბებულ ჰუსართა ნაკრებ პოლკში შეიყვანეს ერთი ესკადრონით. 30 დეკემბრიდან პოლკის ერთი ოცეული და ერთი ესკადრონი შედიოდა კავალერისტთა ნაკრებ ბრიგადაში, 1920 წლის დასაწყისიდან კი — ცხენოსანთა პირველი დივიზიის კავალერისტთა ნაკრებ გვარდიულ პოლკში. ყირიმში გადასვლის შემდეგ, 1920 წლის 16 აპრილიდან, გროდნოელი ჰუსარები კავალერისტთა გვარდიული პოლკის მე-7 ესკადრონის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ. სამოქალაქო ომის პერიოდში პოლკმა დაკარგა ცხრა ოფიცერი — სამი დახვრიტეს, სამი ბრძოლაში დაიღუპა და სამი ავადმყოფობით გარდაიცვალა.

წლების შემდეგ პარიზში ჩამოყალიბდა ჰუსართა გროდნოს პოლკის ვეტერანთა გაერთიანება, რომელიც 1951 წლისთვის 20 წევრს ითვლიდა. ცნობილი არ არის, იყო თუ არა მათ შორის იმ დროს უკვე ჰოლანდიაში მცხოვრები ალექსი ფანჩულიძე, თუმცა, ის კი ვიცით, რომ ვეტერანთა ამგვარივე პარიზული გაერთიანების წევრი იყო სხვა ალექსი ფანჩულიძე, ამის შორეული ბიძაშვილი, ნიკოლოზის ძე, ისიც პაჟთა კორპუსდამთავრებული, ლეიბ-გვარდიის ულანთა პოლკის ყოფილი ოფიცერი, გიორგის ჯვრის კავალერი. ემიგრაციაში იგი მღვდლად ეკურთხა. მოღვაწეობდა პარიზსა და მის შემოგარენში. გარდაიცვალა 1964 წლის 9 მარტს საფრანგეთის ჩრდილოეთში მდებარე პატარა ქალაქ ბუსში.

როგორც ჩანს, ჩვენი ალექსი ფანჩულიძის ესკადრონი ახალჩამოყალიბებულ გვარდიულ შენაერთებში ვერ მოხვდა, მან, ეტყობა არც რუსეთ-პოლონეთის ომში ჩაბმა ისურვა და რევოლუციის შემდეგ ფინეთის გავლით დანიაში გადავიდა. ფინეთში ცოტა ხანს დარჩენილა 1901 წელს გარდაცვლილი თავისი ნათლიის ფიოდორ ბუხმაიერის მამულში, ვიბორგის გუბერნიის ქალაქ კუოკალაში, დღევანდელ რეპინოში, კარელიაში. მეტხანს დარჩა იგი დანიაში, სადაც ოთხ წელიწადს ცხოვრობდა და მუშაობდა, ხოლო შემდეგ გერმანიაში გადავიდა. აქ იგი ვიქტორია შტაუდტმა დაასაქმა, რომლის ქმარი, ერიხ გლანი ცხენოსნობის ექსპერტი იყო. წლების შემდეგ ეს გლანი 1956 წლის ოლიმპიადას დაესწრება სტოკჰოლმში, წიგნსაც დაწერს და ალექსი ფანჩულიძესაც მოიხსენიებს. გლანების ოჯახს ბელგრადში ცხენსაშენი ჰქონდა და ფანჩულიძის მიერ დაბრკოლებათა გადალახვისათვის გაწვრთნილ ცხენებს მისი ხალხი ბერლინსა თუ აახენში ყიდდნენ.

გლანებიდან ფანჩულიძე აღმოსავლეთ პრუსიაში დაბრუნდა. აქ იგი რეკენვალდში (დღევანდელი ვოინოვო, პოლონეთი), პრინც ბერნჰარდ ლიპე-ბიესტერფელდის მამულში მიიღეს ჯერ სტუმრად, მერე — მეხაღედ და ცხენების მომვლელად, ბოლოს კი სულაც მოურავი და მამულის ფაქტობრივი გამგებელი გახდა. პრინცის მეუღლე იყო ბარონესა არმგარდ ფონ გრამსიერშტორპფი და ლტოლვილი რუსი ოფიცერი სწორედ მისი მიწვევით უნდა ჩასულიყო მათთან. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ქართველი თავადი და მასზე ხუთი წლის უფროსი გერმანელი ბარონესა მანამდეც იცნობდნენ ერთმანეთს. ჯერ ერთი, გროდნოს ჰუსართა გვარდიული პოლკი პოლონეთში, ვარშავაში იყო დისლოცირებული და დიდგვაროვანი ჰუსარები არცთუ იშვიათად აბამდნენ სასიყვარულო ურთიერთობას ადგილობრივ ლამაზმანებთან. ალექსი ფანჩულიძე ხშირად მონაწილეობდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში გამართულ ცხენოსანთა ასპარეზობებში და შეიძლება მათ ერთმანეთი უფრო ადრეც გაიცნეს, როცა ბარონესა თავის პირველ მეუღლესთან, გრაფ ბოდო ფონ ოიენჰაუზენთან ერთად ცხოვრობდა ან სულაც იმ ერთწლიან შუალედში შეხვდნენ ერთმანეთს, როცა არმგარდ ფონ გრამი პირველ მეუღლეს უკვე გაშორებული იყო, მეორესთან კი ჯერ არ ექორწინა.



პირველ რიგში (მარცხნიდან): პრინცი ბერნჰარდი, პრინცესა იულიანა და ბარონესა არმგარდი; მის უკან — ალექსი ფანჩულიძე.

ყოველ შემთხვევაში, ისინი რომ მანამდეც იცნობდნენ ერთმანეთს, ამას გვაფიქრებინებს ფანჩულიძის სწრაფი და საფუძვლიანი დამკვიდრება ლიპე-ბიესტერფელდის მამულში და ის, რბილად რომ ვთქვათ, მეგობრული ურთიერთობა, რომელიც თავად ფანჩულიძესა და ბარონესა არმგარდ ფონ გრამს შორის დამყარდა რუსი ოფიცრის რეკენვალდში ჩასვლისთანავე და რომელიც ყველასათვის აშკარა გახდა ჯერ კიდევ ბარონესას მეუღლის სიცოცხლეში. ალექსი ფანჩულიძეს არმგარდ ფონ გრამი მოფერებით „ჩულის“ ეძახდა. ჰოლანდიური წყაროები არც იმას მალავენ, რომ ბარონესა საკმაოდ თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა გათხოვებამდეც, გათხოვილიც და გათხოვებებს შორის შუალედშიც, რის გამოც წლების მერე მის უფროს ვაჟს, ნიდერლანდის პრინც-კონსორტ ბერნჰარდს კომენტარის გაკეთებაც კი მოუხდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1934 წლიდან ჩული — ლიპე-ბიესტერფელდების ჯერ მსახური და შემდეგ მოურავი — ბარონესას არაოფიციალური მეუღლე გახდა. ზოგიერთი ჰოლანდიური მედიასაშუალება მას მეორე რასპუტინად მოიხსენიებს, პრინცი ბერნჰარდი კი მეორე მამას ეძახდა. ზოგიერთი ჰოლანდიელი ჭორის დონეზე იმასაც წერს, რომ თითქოს ბარონესას შვილების ნამდვილი მამა სწორედ რუსი ოფიცერი იყო, თუმცა, ამის დამასტურებელი უტყუარი საბუთი არსად გამოქვეყნებულა.

ჩვენში ანეკდოტად დადის ჰიტლერის ბებიის ქართველობის ამბავი. მართლაც, ხან რომელ ცნობილ ადამიანს გამოვუძებნით ხოლმე ქართველ წინაპარს და ხან — რომელს. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი კვლევა-ძიება და მისი შედეგები სულაც არ არის დაშორებული რეალობას: ირანის ერთ თუ ორ შაჰს და ოსმალეთის რამდენიმე სულთანს ხომ მართლა ჰყავდათ ქართველი დედები თუ ბებიები. პეტრე პირველის ამბავი, რომლის გამოაშკარავება თავის დროზე სტალინმა აუკრძალა ალექსეი ტოლსტოის, უკვე ყველამ იცის. არც ის არის დამალული, რომ რუსეთის საიმპერატორო სახლის დღევანდელ მეთაურს, მარია ვლადიმიროვნას დედა ქართველი ჰყავდა — ლეონიდა ბაგრატიონ-მუხრანელი. ჰოდა, რატომ არ შეიძლება, რომ, ვთქვათ, ჰოლანდიის აწ უკვე გადამდგარ დედოფალს პაპა ქართველი ჰყოლოდა?

საქართველოში კარგად იციან იოსებ ნონეშვილის ლექსი „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი?!“ პრინცესა ბეატრიქსს ეს ლექსი, რა თქმა უნდა არ გაუგია, თორემ მე მას აუცილებლად ვკითხავდი:

— გოგო, იქნებ პაპა იყო შენი?!

მაგრამ ახლა კი არა, ახლა „გოგოთი“ მიმართვას როგორ შევკადრებდი პრინცესას და დედოფალყოფილს! ეკზიუპერის ლეონ ვერტისა არ იყოს, ვკითხავდი მაშინ, როცა ის მართლა პატარა გოგო იყო და მამამისს ან, ვინ იცის, იმავე ფანჩულიძესმუხლებზე ეჯდა!

აი, რას პოსტავს სუპერწევრი, რომლის ნიკია Troonspretendent, 2006 წლის 3 მაისს ჰოლანდიური საიტის, All Things Royal-ის ფორუმზე: „ალექსეი პანჩულიდზევი ხანგრძლივი კომპანიონი იყო პრინცესა არმგარდ სიესტორფ ფონ გრამის, პრინც ბერნჰარდის დედისა, რომელიც მას „ჩულის“ ეძახდა. მისი ცხოვრებისა და იმ როლის შესახებ, რომელიც მან არმგარდისა და ბერნჰარდის ცხოვრებაში ითამაშა, ცოტაა ცნობილი. 2004 წელს ბერნჰარდმა უარყო, რომ პანჩულიდზევი დედამისის კომპანიონი იყო. პანჩულიდზევი, მისი საკუთარი სიტყვებით, რუსეთის საიმპერატორო გვარდიის კოლონელი იყო 1917 წლის რევოლუციამდე. თუმცა, სხვა წყაროები მას პოლონელ მეჯინიბედ მოიხსენიებენ. ჭორების თანახმად, ის პრინც ბერნჰარდის ნამდვილი მამა უნდა იყოს, თუმცა, ამის დამადასტურებელი საბუთები არ არის. მას ასევე ბერნჰარდის ძმის, აშვინის მამად მოიხსენიებენ.“

რას ნიშნავს კომპანიონი? სხვა წყაროებში roommate — ოთახის მეგობარი, თანამცხოვრები წერია, ხოლო ჰოლანდიური საიტი genealogieonline ფანჩულიძეს პრინცესა არმგარდის სულაც მესამე ქმრად მოიხსენიებს ბოდო ფონ ოიენჰაუზენისა და ბერნჰარდ ცურ ლიპე-ბიესტერფელდის შემდეგ.

არმგარდ ფონ გრამის უფროსი ვაჟი — ბერნჰარდ ლეოპოლდ ფრედერიკ ევერჰარდ იულიუს კოერტ კარელ გოტფრიდ პიტერ ლიპე-ბიესტერფელდი, ანუ უბრალოდ ლიპე-ბიესტერფელდის გრაფი ბერნჰარდ-უმცროსი 1911 წლის 29 ივნისს დაიბადა იენაში. რამდენიმეწლიანი კერძო გაკვეთილების შემდეგ სწავლობდა ბერლინის გიმნაზიაში, მერე ლოზანის კოლეჯში კომერციას დაეუფლა, ბოლოს კი იურიდიული განათლება მიიღო მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. როგორც სტაჟიორმა, მუშაობა დაიწყო უდიდესი გერმანული კონცერნის პარიზის ფილიალში, სადაც ძალიან მალე დირექტორთა საბჭოს მდივანი გახდა.

25 წლისა იყო პრინცი ბერნჰარდი, როცა ჰოლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ სასიძოდ შეიგულა. გარმიშ-პარტენკირხენში გაცნობიდან რამდენიმე თვის შემდეგ იულიანა რეკენვალდში ეწვია საქმროს. შემორჩენილია იქ გადაღებული რამდენიმე სურათი, სადაც ჰოლანდიელ პრინცესასთან და გერმანელ გრაფთან ერთად ალექსი ფანჩულიძეც არის აღბეჭდილი. ამ ფოტოების გადაღებიდან ორიოდე კვირის შემდეგ ბერნჰარდი ჰოლანდიის მოქალაქე გახდა და სამხედრო ფიცი დადო, როგორც ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტან-ლეიტენანტმა. კიდევ ორი თვის შემდეგ კი, 1937 წლის 6 იანვარს, დედოფალ ვილჰელმინას წინაშე წარსდგა, რომელმაც მას ჰოლანდიის პრინცის ტიტული უბოძა. მეორე დღეს ჰააგაში შედგა მისი სამეფო უდიდებულესობის, პრინც ბერნჰარდ ცურ ლიპე-ბიესტერფელდისა და პრინცესა იულიანას ქორწილი.

მას შემდეგ პრინცი ბერნარდი თვალსაჩინო ფიგურა გახდა ჰოლანდიის, ევროპისა და მსოფლიო პოლიტიკაში. თუმცა, მისი პიროვნება და მისი საქმიანობა, განსაკუთრებით — გერმანული ფაშიზმის წლებში, იდუმალებით არის მოცული და მისი ოფიციალური ბიოგრაფიაც კი მრავალ ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტს შეიცავს.

გერმანიის მიერ ჰოლანდიის ოკუპაციის შემდეგ სამეფო ოჯახმა ჯერ ლონდონს შეაფარა თავი, მერე კი იულიანა და მისი ორი გოგონა უსაფრთხოების მიზნით კანადას გაემგზავრნენ, ხოლო ბერნჰარდი ხან — კონტინენტზე იყო, ხან კი — ლონდონში, დედოფალ ვილჰელმინასთან და მისი ლტოლვილ მთავრობასთან ერთად. 1945 წლის აგვისტოში სამეფო ოჯახის ყველა წევრი — დედოფალიც, პრინცი ბერნჰარდიც და პრინცესა იულიანაც, უკვე სამი გოგონათი — სამშობლოში დაბრუნდა. იმ პერიოდში ბერნჰარდს პირადი ურთიერთობა ჰქონდა გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერთან და ფელდმარშალ ბერნარდ მონტგომერისთან, რომლებიც არცთუ იშვიათად მისი რჩევებით სარგებლობდნენ.

ხოლო თავად პრინცი ბერნჰარდი ალექსი ფანჩულიძეს ეკითხებოდა რჩევას. ალექსი ფანჩულიძე უახლოესი ადამიანი და შეუვალი ავტორიტეტი იყო ბერნჰარდისათვის მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში. ჰოლანდიური წყაროების თანახმად, პრინცი მის დიდ გავლენას განიცდიდა. ალექსი ფანჩულიძესაც მათთან ცხოვრების პირველივე დღიდან ლიპე-ბიესტერფელდების ვაჟთაგან უფროსი — ბერნჰარდი გამოურჩევია და მას მერე ისინი განუყრელნი გამხდარან. პრინცი ყველაფერში ენდობოდა რუსეთის გვარდიის ყოფილ ოფიცერს, ომის შემდეგ, როგორც ამბობენ, გვერდიდან არ იშორებდა, მის გარეშე არ გადაუდგამს არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და 1948 წლიდან, როგორც ჰოლანდიის პრინცი-კონსორტი, ხშირად აძლევდა რთულ პოლიტიკურ და დელიკატურ დიპლომატიურ დავალებებს.

ომის წლებში ალექსი ფანჩულიძე გერმანიის აღმოსავლეთის რკინიგზაში მუშაობდა, როგორც ოდერის ფრანკფურტის რკინიგზის სადგურის მოხელე. მაშინ ის ჯერ კიდევ რეკენვალდში ცხოვრობდა. მერე არმგარდთან ერთად ფრონტის ხაზს გაერიდა და ბარონესას მშობლიურ ბადდრიბურგში გადავიდა, იქიდან კი 1945 წელს პრინცმა ბერნჰარდმა ჰოლანდიაში მიიწვია და 1949 წელს, სულ რამდენიმე თვის შემდეგ, რაც მისი მეუღლე ნიდერლანდის დედოფალი გახდა, ჰოლანდიის მოქალაქეობაც მიაღებინა. მანამდე იგი მოქალაქეობის გარეშე იყო და ნანსენის პასპორტით სარგებლობდა. ამავე პერიოდში ალექსი ფანჩულიძე ჰოლანდიის არმიის კოლონელი გახდა.

ომის შემდგომ წლებში და ვიდრე ალექსი ფანჩულიძის გარდაცვალებამდე მთელმა ევროპამ იცოდა, რომ ალექსის პანჩულიდზევი პრინც ბერნჰარდის პირადი წარმომადგენელი იყო, ხან ოფიციალური და ხან — არაოფიციალური. პოლკოვნიკი ხშირად ახლდა პრინცს საზღვარგარეთ მოგზაურობებისას. „პრინც ბერნჰარდის ჩრდილი“ — ასე მოიხსენიებდა ჰოლანდიური მედია ალექსი ფანჩულიძეს.

1952 წელს ბერნჰარდმა დედამისისთვის ჰოლანდიის ერთი უძველესი და ულამაზესი მამული და სასახლე — ვარმელო შეიძინა. ვარმელოში პრინცესა არმგარდთან ერთად ცხოვრობდა ალექსი ფანჩულიძეც. აქ მას წმინდა სისხლის ცხენების ვეება საჯინიბო ჰქონია და ცხენოსნობას ასწავლიდა სამეფო გვარის წარმომადგენლებს თუ ახალგაზრდა ჰოლანდიელ დიდგვაროვნებს. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ვარმელოში ყოველწლიურად იმართებოდა საცხენოსნო სპორტულ-თეატრალური ფესტივალები.

ბარონესა არმგარდი ერთ-ერთი ასეთი ფესტივალისთვის მზადების პერიოდში გარდაიცვალა 1971 წლის 27 აპრილს, ზუსტად სამი წლის შემდეგ ჩულის გარდაცვალებიდან.

პრინც ბერნჰარდსა და დედოფალ იულიანას ოთხი შვილი — ოთხი გოგონა შეეძინათ: ბეატრიქსი (1938), ჰოლანდიის ახლანდელი დედოფალი, ირენი (1939), მარგრიტი (1943) და კრისტინა (1947). ორი უკანონო შვილი, რომლებიც პრინცმა მოგვიანებით ოფიციალურად აღიარა, ასევე ქალები არიან: ალისია დე ბილენფელდი (1952) და ალექსია გრინდა (1967).

სხვათა შორის, პრინც ბერნარდის უკანონო შვილებთან დაკავშირებით ინტერნეტში განთავსებულ ერთ სტატიაში არის ასეთი ფრაზაც:

„საოცარია, რომ პრინც ბერნჰარდის ორი უკანონო ქალიშვილის სახელები, ისევე როგორც მისი რამდენიმე შვილიშვილისა, ძალიან ჰგავს ალექსის პანჩულიდზევის სახელს“...

სულ პირველად კი ლტოლვილი რუსი პოლკოვნიკი 12-13 წლის ბერნარდს ცხენოსნობის მასწავლებლად მიამაგრეს. სწორედ მისგან გადაედო პრინცს ცხენის სიყვარული და მისგან ისწავლა ცხენოსნობის



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



ალექსი ფანჩულიძე თავის „ლასკარზე“

მრავალი საიდუმლოება. ომის შემდეგ ჰოლანდიის პრინცი ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ და პოპულარულ ფიგურად იქცა ცხენოსნობის სამყაროში და არავის გაჰკვირვებია, როცა ისედაც მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციის სათავეში მყოფი, 1954 წელს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტადაც აირჩიეს. პრინცს ეს პოსტი 10 წელიწადს ეკავა და, ბუნებრივია, ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ვერავინ ეტყოდა უარს, რომ საოლიმპიადოდ ერთი პირადი მოწვევა თავისი მამობილისთვის მიეცა, რომელიც ამავე დროს მისი მეგობარიც იყო, მესაიდუმლეც და მრჩეველიც. ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის უაილდ-კარდის საფუძველზე ჰოლანდიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, რომლის პატრონიც სწორედ პრინცი ბერნჰარდი იყო, 1956 წლის 4 ივლისს, ასპარეზობის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, ალექსის პანჩულიდზევს უფლება მისცა, საკუთარი ხარჯით გამგზავრებულიყო სტოკჰოლმში ცხენოსანთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად.

შემორჩენილია სტოკჰოლმში ალექსი ფანჩულიძის გამოსვლის ამსახველი რამდენიმეწამიანი კინოფირი. ცნობილია იმ ცხენის სახელიც, რომლითაც ალექსი ფანჩულიძე ოლიმპიადაზე გამოდიოდა და რომელიც მისი შვილობილის საჯინიბოდან იყო — „ლასკარი“. ალექსი ფანჩულიძე ერთადერთი ქართველი ცხენოსანია, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. ამავე დროს იგი პირველი ქართველი სპორტსმენია, რომელიც ოლიმპიადაზე უცხო ქვეყნის სახელით გამოვიდა, რაც 1996 წლიდან მოყოლებული, ჩვეულებრივ ამბად იქცა.

გარდა თავისი სპორტული ბიოგრაფიისა, ალექსი ფანჩულიძე მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა. საინტერესოა მისი შეხვედრები მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებთან, სახელმწიფოს მეთაურებთან, მეფეებთან, დედოფლებთან, პრინცებთან და პრინცესებთან; შესასწავლია მისი ურთიერთობა რუსული და ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. შემორჩენილია წერილობითი ცნობა, რომლის თანახმად ჰოლანდიაში ყოფნისას მას შეხვედრია ქართული პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, დოქტორი მარკოზ ტუღუში. ჩვენს მიერ ალექსი ფანჩულიძის შესახებ უკვე მოგროვილია არცთუ მცირე მასალა, რომელიც სერიოზულ გააზრებას მოითხოვს. მუშაობა კი გრძელდება. მოსაძიებელია, თუ საერთოდ არსებობს, ალექსი ფანჩულიძის არქივი და მისი წერილები. ერთი ჰოლანდიური ტელეარხის მიერ „მისტიურ მხედრად“ სახელდებული ჩვენი გადაკარგული თანამემამულის ცხოვრებისა და თავგადასავლის საფუძვლიანი შესწავლა და გამომზეურება ბევრ სენსაციურ აღმოჩენას გვპირდება.

ალექსი ფანჩულიძე გარდაიცვალა დიპენჰაიმში 1968 წლის 10 აპრილს (სხვა ვერსიით — 8 აპრილს), 80 წლისა. მის საფლავზე რუსული მართლმადიდებლური ჯვარია აღმართული, ხოლო ჰოლანდიური წარწერაა გვამცნობს, რომ აქ განისვენებს კოლონელი ალექსის პანჩულიდზევი, დაბადებული რუსეთში, პიატიგორსკში 1888 წლის 18 სექტემბერს.

ხოლო ამ საფლავის საკუთარი თვალით მნახველთაგან ჯერ არავინ იცის, რომ მათთვის ასე ძნელად წარმოსათქმელი „პანჩულიდზევი“ რუსული ფორმაა ქართული გვარისა — ფანჩულიძე.

**პაატა ნაცვლიშვილი**

**◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# უცნაური ოპერაცია ლოპოტის ხეობაში

**საქართველოს ხელისუფლება ცდილობს გამოარკვიოს, სინამდვილეში რა მოხდა ლოპოტის ხეობაში, რუსეთის დაღესტნის საზღვრიდან უშუალო სიახლოვეს.**

ჩვენ ვიმყოფებით ლოპოტის ხეობაში საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთში, დაღესტნის საზღვართან ახლოს. აქ არის სოფელი ლაფანყური, სადაც მხოლოდ ერთი მაღაზიაა, და მცხოვრებლები ცდილობენ თავი ირჩინონ თავიანთ ბაღებში მუშაობით. უცხოელები აქ შეუმჩნევლად ვერ გაივლიან, განსაკუთრებით შეიარაღებულები, დიდი წვერებით.

**აქედან ახლოს, მთებში, 2012 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სპეციალურმა ქვედანაყოფებმა განახორციელეს ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელიც სისხლისღვრით დამთავრდა. საკითხი შეეხება ყველაზე სერიოზულ ინციდენტს საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. პოლიციამ მოაწყო რეიდი კარგად შეიარაღებული ისლამისტი ბოევიკების ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებმაც ლაფანყურის ხუთი მცხოვრები აიყვანეს მძევლად. ეს შეტევა გარდაუვალი იყო, ვინაიდან მოლაპარაკება ჩაიშალა. ტელევიზიამ გაავრცელა კადრები ტყვიებით დაცხრილული ცხედრებისა: „კალაშნიკოვები“, მაკაროვის პისტოლეტები, სნაპერის შაშხანები, ყუმბარმტყორცნები, უახლესი ბინოკლები.**

**მთლიანად შეტაკების დროს მოკლეს შვიდი ბოევიკი და სამი პოლიციელი. ათი ბოევიკი ტყეში დაიმალა. საქართველოს ხელისუფლებამ უმალვე დაიწყო საუბარი შესაძლო „პროვოკაციის“ შესახებ, რომელიც მოსკოვის ინტერესებით განხორციელდა. ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ შეიარაღებული ადამიანები მოვიდნენ მეზობელი დაღესტნიდან, რომელიც ჩრდილოეთი კავკასიის დენთის მარნად იქცა. მაგრამ ეს ვერსია უსაფუძვლო აღმოჩნდა, ვინაიდან ჯგუფის წევრების უმრავლესობა ქართულად საუბრობდა. მათ შორის იყო ორი ქისტი, საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელი.** ქართველები, რომლებიც ტყვედ ჰყავდათ აყვანილი, იტყობინებოდნენ, რომ შეიარაღებულ ხალხს სურდა, გადასულიყო დაღესტანში და არა მოსულიყვნენ იქიდან. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ჩეჩენი ისლამისტების ზურგის ბაზა იყო? მოსკოვი სწორედ ასეთ ვერსიას უჭერს მხარს. უფსკრული ორ ქვეყანას შორის მხოლოდ ღრმავდება.

**ახალი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ბანაკი საჯაროდ გამოთქვამს ეჭვს ძველი უმრავლესობის მისამართით, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ისლამისტებს. დადასტურებანი? შეიძლება ეს დადასტურებანი გამოჩნდნენ ლოპოტის ხეობაში მოვლენათა გამოკვლევის შემდეგ, რაც ივნისის დასაწყისში უნდა დამთავრდეს. დაღუპულთა ცხედრების ესგუმაცია მოხდა. „მთელ მსოფლიომ იცის, რომ ბოევიკებმა გამოიყენეს საქართველო, როგორც სატრანზიტო ქვეყანა მრავალი წლის განმავლობაში, ჯერ კიდევ 2008 წლის ომამდე,** — ამბობს ივანიშვილი. — **ახლა ამ საქმეს ბოლო მოეღო. არსებობს ეჭვი, რომ მთავრობა თანამშრომლობდა მათთან, ყოველ შემთხვევაში, იყო მათი ყოფნის კურსში.**

**1 თებერვალს ქართველმა ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა თავისი მოხსენების მთელი თავი ლოპოტაში სპეცოპერაციას მიუძღვნა. მან ბრალი დასდო ყოფილ მთავრობას იმაში, რომ 2012 წლის თებერვლის პერიოდიდან იგი აწყობდა ევროპიდან 120 ჩეჩენი ბოევიკების ჩამოსვლას: ისინი მიიღეს, უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინით, შეაიარაღეს, ორ სამხედრო ბაზაზე მოაწყვეს მათი მომზადება. მაგრამ რა მიზნით? რატომ გამოვიდა ადგილობრივი ხელისუფლება მათ წინააღმდეგ და შეეცადნენ მათ განადგურებას? „მე არ ვიცი,** — თქვა ნანუაშვილმა. — **იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ მათ შეუქმნა დერეფანი რუსეთის ტერიტორიაზე შეღწევისთვის. ბოევიკები მეტად ახალგაზრდები იყვნენ, 18-დან 25 წლის ასაკამდე. იქნებ სურდათ მათი გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ. ანდა საშინაო ანგარიშსწორებისთვის“.**

ნანუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ იგი არ არის ჟურნალისტი, რომ მას აქვს უფლება, დააყენოს ასეთი საკითხები და აღნიშნა, რომ დასკვნები ჯერჯერობით საბოლოო არ არის.

**პიოტრ სმოლიარი**

Le Monde.fr

# „ქართული ოცნება“ კრიმინალური ავტორიტეტებისთვის განუხორციელებელი აღმოჩნდა

**საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გააგრძელა კანონიერი ქურდების წმენდა**

**საქართველოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა 15 მაისს თბილისსა და დასავლეთ საქართველოს ორ პროვინციაში განახორციელეს სპეცოპერაცია, დააკავეს 12 ეჭვმიტანილი, რომლებსაც მჭიდრო ურთიერთობანი ჰქონდათ დანაშაულებრივ სამყაროსთან. ასეთი მასშტაბური ოპერაცია განხორციელდა პირველად ხელისუფლებაში ახალი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის მოსვლის შემდეგ.**

ახალი წლის წინ „ქართული ოცნების“ ინიციატივით რამდენიმე ეტაპად ამნისტიით გაათავისუფლეს 25 ათასი პატიმრიდან თითქმის ნახევარი. მაშინ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ივარაუდა დანაშაულობათა გაძლიერება და ბრალი დასდო ახალ მთავრობას კრიმინალური სამყაროსთვის ხელშეწყობაში.

**— არ შეიძლება არ მიესალმო, თუ კრიმინალებთან და კორუფციასთან ბრძოლის ჩვენი პოლიტიკა გაგრძელდება,** — განაცხადა ჩვენს გაზეთთან საუბარში დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ნუგზარ წიკლაურმა. — **მაგრამ, ჩემი მონაცემებით, დაპატიმრებულთა შორის არიან ისინიც, რომელთა მიმართაც ახალმა ხელისუფლებამ განახორციელა ამნისტია. ეს მხოლოდ ადასტურებს იმას, რაზეც ჩვენ მათ ვაფრთხილებდით: არ შეიძლება ნაჩქარევად გავათავისუფლოთ ამდენი დამნაშავე ციხეებიდან.**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩვენს გამოცემასთან საუბარში განაცხადეს, რომ **„მთელმა ამ დუჟინმა აღიარა, რომ პატივს სცემენ ქურდულ სამყაროს კანონებს და ცდილობენ, დაამყარონ იგი საზოგადოებაში“.** მათ შორის არიან არასრულწლოვანი და ერთი ქალი. ყველა მათ 5-დან 8-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.



**დაპატიმრებულებმა დაადასტურეს თავიანთი კავშირი კანონიერ ქურდებთან, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ არიან. თუ სად, შინაგან საქმეთა სამინისტროში არ დაუდასტურებიათ. მაგრამ საკითხი შეიძლება შეეხებოდეს უკრაინას, სადაც მიმდინარე წლის დასაწყისში რამდენიმე ამნისტირებული სისხლის სამართლის ავტორიტეტი გადაბარგდა. ტრადიციულად გავლენიანი ქართული დანაშაულებრივი გაერთიანება რუსეთშია, აგრეთვე შორეული უცხოეთის ზოგიერთ ქვეყანაში — მაგალითად, ესპანეთში.**

ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილის აზრით, ახალმა ხელისუფლებამ გააგრძელა დანაშაულებრივი სამყაროსადმი დაუნდობელი დამოკიდებულების პოლიტიკა.

**— ქვეყნის კანონიერი ქურდებისგან გათავისუფლების პოლიტიკა, რომელიც სააკაშვილმა დაიწყო, იყო ეფექტიანი სწორედ იმიტომ, რომ ამაზე იყო საზოგადოებრივი დაკვეთა. მაგრამ, რომ არ უარვყოთ წინა ხელისუფლების დამსახურება, არ ღირს, მოვახდინოთ ამ საკითხის პოლიტიზება,** — ამბობს „საქართველოს დამოუკიდებელი ექსპერტების კლუბის“ ხელმძღვანელი სოსო ცისკარიშვილი.

მას მიაჩნია, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ზოგიერთ სისხლის სამართლის ავტორიტეტს შეეძლო, მიეღო გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნებისა და იქ თავისი საქმიანობის განახლების შესახებ. მაგრამ ამ სპეციალურმა ოპერაციამ აჩვენა, რომ ივანიშვილის მთავრობა არ დაუშვებს კრიმინალის ახალ აღმავლობას.

**— სააკაშვილის პარტია ცდილობდა, თავს მოეხვია საზოგადოებისთვის აზრი, რომ ჩვენ დაკავშირებული ვართ კანონიერ ქურდებთან. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ეს „ნაციონალების“ მორიგი სიცრუეა,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ კახა კალაძემ.

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ 2003 წელს სააკაშვილმა უმალვე გამოუცხადა ომი ქურდულ სამყაროს. იმ დროიდან მხოლოდ მის წევრად აღიარებისთვის პიროვნება ისჯება საქართველოს კანონით. ამან მიგვიყვანა იქამდე, რომ ავტორიტეტების უდიდესი უმრავლესობა აღმოჩნდა ციხეში ან დატოვა საქართველო.**

ИЗВЕСТИЯ

## დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა ჰონდურასის ჯუნგლებში მიიღეს საიდუმლო ფორმირებათა სურათები. შეიძლება ეს დაკარგული „ოქროს ქალაქი“ იყოს**

ჯერ კიდევ შარშან არქეოლოგებმა და რეჟისორებმა სტივენ ელკინსმა და ბილ ბენენსონმა განაცხადეს, რომ აცტეკების ლეგენდარული ქალაქის ნანგრევები, რასაც კონკისტადორები ეძებდნენ, ალბათ პრაქტიკულად ლამოსკიტიას აუთვისებელ რეგიონში მდებარეობს. მაღალტექნოლოგიურმა სკანირებამ საშუალება მისცა მათ ტყის ქუდის ქვეშ ამოეცნოთ სიმაღლე ზუსტი გეომეტრიული ფორმისა. როგორც ვარაუდობენ, ეს ხელით ნაკეთი უნდა იყოს.

* * *

**არქტიკაში შეიჭრნენ ახალი არარეგიონული მოთამაშეები, მაგრამ რუსეთმა მიაღწია მათი უფლებების მაქსიმალურ შეზღუდვას**



არქტიკული საბჭოს სამინისტროს სესიამ მწვავე დისკუსიების შემდეგ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება — მიანიჭოს მეთვალყურის სტატუსი 6 ახალ სახელმწიფოს, მათ შორის ჩინეთსა და ინდოეთსაც. მოსკოვი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, „არ დაენგრია კონსენსუსი“. რეგიონში მოსურნე მოთამაშეები რომ არ დაეშვა, მას შეიძლება „შურისძიების მიზნით“ მიეღო თავისთვის არახელსაყრელი შედეგები.

* * *

**ბარაკ ობამამ და მისმა მეუღლემ თავიანთი ქონება 1,8 მილიონიდან 6,9 მილიონ დოლარამდე შეაფასეს**



შარშან საპრეზიდენტო წყვილი იტყობინებოდა 2,6-8,3 მილიონი დოლარის ქონების შესახებ. აქტივების შეფასება ხდება თავად მფლობელების მიერ მათი საკუთარი წარმოდგენების და საბაზრო კონკურენციის საფუძველზე, ამიტომ ეს მაჩვენებლები საკმაოდ მიახლოებულია.

* * *

**ამერიკელმა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მეოთხედ მოიგო ლატარიაში**

ამრიგად, მელვინ უილსონი, რომელიც ვირჯინიის შტატში ცხოვრობს, უკვე 2 მილიონზე მეტი დოლარის მფლობელი გახდა. ბედნიერმა თავის წარმატება ახსნა იმით, რომ „უბრალოდ, ხვდება საჭირო ადგილზე და საჭირო დროს“.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ჭადრაკი

# ბელას ოქროს დებიუტი

**წლეულს მესამედ აიღო სტარტი მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრიმ, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 18 წარმომადგენელი იბრძოლებს პირველი ადგილისთვის. წინა შეჯიბრებების მსგავსად ამჟამინდელიც ექვსი ეტაპისგან შედგება. თითოეული დიდოსტატი ოთხ ტურნირში მოსინჯავს ძალებს და სამი საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შევა.**



გამარჯვებული 2015 წელს პლანეტაზე უძლიერესის სახელისათვის მსოფლიოს ჩემპიონს დაუპირისპირდება. ამ ასპარეზობის დებიუტანტია საქართველოს ქალთა ნაკრების წევრი ბელა ხოტენაშვილი. ჟენევაში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის 12 დიდოსტატი იბრძოდა მთავარი პრიზისთვის, 11 შესაძლებლიდან მან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონ ანა უშენინას (უკრაინა) დაუზავდა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა სლოვენიელი ანა მუზიჩუკი — იგი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონ ალექსანდრა კოსტენიუკს (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე. ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) ცზიუ ვენძიუნთან (ჩინეთი) კი დამარცხდა, მაგრამ 6,5 ქულით მაინც გავიდა მესამე ადგილზე. 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიამპიადის გამარჯვებულმა ნანა ძაგნიძემ შავი ფიგურებით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი) დაჯაბნა და 6,5 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა, რადგან კოსინცევაზე უარესი დამატებითი მაჩვენებლები აღმოაჩნდა.

**გრან პრის სასტარტო გათამაშებაში საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა:** ხოტენაშვილი — 8, მუზიჩუკი — 7,5, კოსინცევა, ძაგნიძე — 6,5-6,5, ვენძიუნი, უშენინა — 6-6, ლაგნო — 5,5, ჰოუ იფანი, კოსტენიუკი — 5-5, ჩმილიტე — 4,5, ბათჩიმეგი — 3,5, გირია — 2 ქულა.

ხოტენაშვილის წარმატება იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ პირველ რაუნდში მსოფლიოს და ევროპის სამ-სამი ჩემპიონი თამაშობდა.

როგორც აღვნიშნეთ, 2013-2014 წლების გრან პრი, უწინდელებივით, ექვსი რაუნდისგან შედგება. უკვე ცნობილია, რომ მეორე ეტაპს 15-29 ივნისს სომხური დილიჟანი უმასპინძლებს. მომდევნო ოთხი ასპარეზობის განრიგი ასეთია: **17 სექტემბერი — 1 ოქტომბერი.** ტაშკენტი (უზბეკეთი) **2-16 მაისი.** 2014 წელი. ხანტი-მანსიისკი (რუსეთი), **18 ივნისი — 2 ივლისი.** 2014 წელი. თბილისი (საქართველო), **24 აგვისტო — 7 სექტემბერი**. 2014 წელი. ერდენეთი (მონგოლეთი).

დილიჟანში ითამაშებენ: ჰამფი კონერუ (ინდოეთი), ანა მუზიჩუკი (სლოვენია), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), **ბელა ხოტენაშვილი** (საქართველო), ანა უშენინა (უკრაინა), ელინა დანიელიანი (სომხეთი), ოლგა გირია (რუსეთი), თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი).

**საგულისხმოა, რომ გრან პრის თითოეული ეტაპისთვის გათვალისწინებულია საერთო ჯამში 850 ქულა და 60 ათასი ევრო: I ადგილი. 10.000 ევრო ( 160 ქულა, II. 8.250 ( 130, III. 6750 ( 110, IV. 5750 ( 90, V. 5.000 ( 80, VI. 4.500 ( 70, VII. 4.250 ( 60, VIII. 4000 ( 50, IX. 3250 ( 40, X. 3000 ( 30, XI. 2750 ( 20, XII. 2500 ( 10 ქულა.**

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს

**რამდენიმე წელიწადია, ლაგოდეხში დამსახურებული მწვრთნელის დავით ჩაჩანიძის საერთაშორისო მემორიალი იმართება ძიუდოში. ამჯერადაც ტატამზე მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანელი და სომეხი სპორტსმენები იბრძოდნენ საპრიზო ადგილებისთვის ორ ასაკში. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.**



**14-15-წლიანები**

**38 კგ**. 1. ლევან ებელაშვილი (ახმეტა), 2. სანდრო ძამაშვილი (მარტყოფი), 3. მიხეილ შათირიშვილი (ახმეტა), 3. მამუკა ქურასბედიანი (თბილისი).

**42 კგ**. 1. ვაჟა ბუბუნაური, 2. ნიკა კობაიძე (ორივე — დედოფლისწყარო), 3. პაატა მალაციძე (კასპი), 3. საბა კაპანაძე (სამაჩაბლო).

**46 კგ**. 1. უშანგი ქიტესაშვილი (ახმეტა), 2. ლაშა ბექაური (დედოფლისწყარო), 3. ირაკლი კუხალაშვილი, 3. ნუგზარ სალუქვაძე (ორივე — ქუთაისი).

**50 კგ**. 1. ლაშა შპეტიშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი გელასაშვილი (თბილისი), 3. მიხეილ ბახბახიშვილი (თელავი), 3. გიორგი სუხიშვილი (ახმეტა).

**55 კგ**. 1. შოთა ბესიაშვილი, 2. გელა გარაყანიძე (ორივე — თბილისი), 3. გიორგი მუმლაძე (ლაგოდეხი), 3. ბექა გაგაძე (დედოფლისწყარო).

**60 კგ**. 1. ბაჩანა სარქისაშვილი (ახმეტა), 2. ასლან სათიაშვილი (თბილისი), 3. ნიკა ბურდული (დედოფლისწყარო), 3. გაგა მახნიაშვილი (თელავი).

**66 კგ**. 1. ნიკა ლაბაძე (ლაგოდეხი), 2. ლაშა დუდაშვილი (კასპი), 3. რევაზ ჯიაძე (ქუთაისი), 3. ბექა ფიცხელაური (ახმეტა).

**73 კგ**. 1. ლევან წითელაშვილი (გურჯაანი), 2. ნოდარ წამალაშვილი, 3. ზაურ კენჭაძე, 3. შოთა შავდია (სამივე — თბილისი).

**81 კგ**. 1. ვაჟა მაჭარაშვილი, 2. ოთარ დარსაველიძე (ორივე — თბილისი), 3. დავით დადიკიანი (სომხეთი), 3. სოსო ბაზიერაშვილი (გურჯაანი).

**+81 კგ**. 1. ამირან წიქორიძე (ქუთაისი), 2. საბა გაბრიჭიძე, 3. ლუკა ჯაფარიძე (ორივე — მესტია), 3. ვაჟა კაკეწაშვილი (ახალგორი).

**17-18-წლიანები**

**60 კგ**. 1. ნარეკ კარაპეტიანი (სომხეთი), 2. გიორგი ხუციანიძე (დედოფლისწყარო), 3. რობერტ გევორქიანი (სომხეთი), 3. ვალერი ცერცვაძე (ყვარელი).

**66 კგ**. 1. გიგა ბერიაშვილი (კასპი), 2. კახა ცაგარელი (ყვარელი), 3. იოსებ უძილაური (ახმეტა), 3. ირაკლი ტალახაძე (საჩხერე).

**73 კგ**. 1. დავით ჯიკაიძე. 2. ალექსი ნადირაშვილი (ორივე — ახმეტა), 3. ცოტნე წიკლაური (დედოფლისწყარო), 3. გოგა ლომთაძე (ქუთაისი).

**81 კგ**. 1. გოგა კორიფაძე (ქუთაისი), 2. სოლომონ ჯოჯუა (ბოლნისი), 3. სერგო თურქიაშვილი (თელავი), 3. ელვინ სულეიმანოვი (ლაგოდეხი).

**90 კგ**. 1. ჯაბა ჩეჩელაშვილი (ქუთაისი), 2. ნოდარ ბერიანი (ბოლნისი), 3. ლაშა დავითაშვილი (ახმეტა), 3. ედიკ პეტროსიანი (სომხეთი).

**100 კგ**. 1. კარლო ნემსიწვერიძე (ქუთაისი) 2. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 3. კონსტანტინე ხაბეიშვილი (ქობულეთი), 3. დავით კარადისი (ახმეტა).

**+100 კგ**. 1. როსტომ ხახალეიშვილი, 2. გუგა კიბორძალიძე (ორივე — ქუთაისი), 3. დიმიტრი გუგულაშვილი (სპი), 3. ნიკოლოზ მახალდიანი (ბოლნისი).

**ლაშა დიდია**

კრივი

# ხუთი მედალი — ბაქოს რინგიდან

**1997-1998 წლებში დაბადებული 11 ქართველი მოკრივე მონაწილეობდა ბაქოში აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის — ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში.** ხუთმა ჩვენებურმა ერთი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 66 კილოში საქართველოს ჩემპიონმა გიორგი ხარაბაძემ (ქუთაისი) ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. მხოლოდ ნახევარფინალური პაექრობები დათმეს და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ ესკერხან მადიევი (თბილისი, 52 კგ), თორნიკე ხელაძე (ქუთაისი, 60), ბექა ვახანია (თბილისი,70) და რატი ტლაშაძე (გორი, 75).



საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები მთავარი მწვრთნელის — ბონდო მამულაშვილის ხელმძღვანელობით ბელარუსში გაემგზავრა და „სტაიკებში" მასპინძლებთან ერთობლივ ვარჯიშებს ჩაატარებს. პირველი ივნისიდან კი დავით ნანავა (ფოთი, 49 კგ), ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი, 52), გიორგი გოგატიშვილი (ფოთი, 56), ევროპის ბრინჯაოს პრიზიორები — ზაალ კვაჭატაძე (თბილისი, 69), ჯაბა ხოსიტაშვილი (თბილისი, 75) და მიხეილ ბახტიძე (ქუთაისი, (91), ასევე, იაგო კიზირია (ფოთი, 81) და ლევან გულედანი (თბილისი, 91) მინსკის ფიცარნაგზე ევროპის ჩემპიონატში ჩაებმებიან.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# მისტიკური მოტივები

**ლონდონის „ჩელსი" შეუერთდა ევროპული საკლუბო ფეხბურთის იმ ბობოლათა ნუსხას, ვისაც სამივე პოპულარული ჯილდო აქვს მოპოვებული: „იუვენტუსი", „აიაქსი", „ბარსელონა", „ბაიერნი" და ა. წ. უკვე „სტემფორდ ბრიჯის" ბინადრები.**

ალსანიშნავია ისიც, რომ რომან აბრამოვიჩის ნაამაგარი და რაფაელ ბენიტესის დამოძღვრილი გუნდი 10 დღის განმავლობაში კონტინენტის აბსოლუტური გვირგვინოსანი იქნება, რადგან, როგორც ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული, 25 მაისისთვის დანიშნული „ბაიერნ" — „ბორუსიას" ფინალის შემდეგ ოფიციალურად დაემშვიდობება ტიტულს.

**„ბენფიკა" — „ჩელსი" 1:2**

**გოლები:** კარდოზო (პენალტით); ტორესი, ივანოვიჩი.

რამდენიმე დღის წინათ ლისაბონურმა გრანდმა ეროვნული ჩემპიონატის ფინიშზე პირველი და, როგორც ირკვევა, საბედისწერო მარცხი იწვნია „პორტუსგან" — 1:2, თანაც გადამწყვეტი გოლი მსაჯის მიერ ძირითადი დროისთვის წარმატებულ მე-3 წუთზე გაუშვა. ზუსტად ანალოგიურად განმეორდა მოვლენები „ამსტერდამ არენაზეც": ისევ 93-ე წუთი, ისევ 1:2, არადა ლუზიტანიელები მთელი თამაშის განმავლობაში მრისხანე მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

მოდი და ამის შემდეგ ნუ გავამახვილებთ ყურადღებას იმ მისტიკურ ისტორიასთან, ეუსებიოს ეპოქის „ბენფიკას" რომ უკავშირდება: მოგეხსენებათ, ნახევარი საუკუნის წინათ პირენეელებმა ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს ჩემპიონთა თასი, თუმცა, მას შემდეგ, რაც მათმა უნგრელმა ებრაელმა მწვრთნელმა ბელა გუტმანმა ხელფასის მცირედით მომატება მოითხოვა, კლუბის ხელმძღვანელობამ კარისკენ მიანიშნა.

მათი ურთიერთობა გუტმანის წყევლით დასრულდა: ნუღარც გღირსებოდეთ ევროპული თასიო. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, როგორც მისი „ანდერძი" — მას შემდეგ ლისაბონელებმა უკვე მეშვიდე ევროფინალი წააგეს.

სხვათა შორის, 1990 წელს, როცა „ბენფიკა" ვენაში „მილანს" ხვდებოდა, მისი წარმომადგენლები ავსტრიის დედაქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე დაკრძალული მათი ყოფილი თავკაცის უკანასკნელ ძვალშესალაგს ესტუმრნენ და შენდობა ითხოვეს, თუმცა, უშედეგოდ — მაშინ პორტუგალიელები 0:1 დამარცხდნენ. საინტერესოა, როდის აეხსნებათ ჯადო?!




**გიორგი შოთაძე**

ნიჩბოსნობა

# მცხეთელებიც ემზადებიან



**დღეს და ხვალ ბაიდარასა და კანოეში საქართველოს ღია პირველობაა დაგეგმილი, რომელშიც საასპარეზოდ მდინარე არაგვზე მონდომებით ემზადებიან მცხეთელი ნიჩბოსნები მთავარი მწვრთნელის — ნიკოლოზ გირდას ხელმძღვანელობით.** საპრიზო ადგილებისთვის ტრადიციულად იბრძოლებენ ძმები — ზაზა და ვარლამ ნადირაძეები, ვასილ პესტოვი, გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია, ვალერი რთველიაშვილი, ლაშა ირემაშვილი, გიორგი ობგაიძე და სხვები. 25-26 მაისს ისინი ფოთში ოლიმპიური ჩემპიონის — ვიქტორ კრატასიუკის საერთაშორისო რეგატაშიც მოსინჯავენ ძალებს.

**ნატა ნიბლაძე**

**სურათზე: ნიკოლოზ გირდა შეგირდებთან ერთად მორიგ მეცადინეობაზე.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფესტივალი

# „XX საუკუნის მუსიკა“ — სამი დიდი კომპოზიტორის იუბილე

**XX საუკუნე შემოქმედებითი ძიებითა და ნოვატორული მიმდინარეობებით გამორჩეული საუკუნე იყო ხელოვნების ყველა დარგში, განსაკუთრებით კი მუსიკალურ ხელოვნებაში.**

**„XX საუკუნის მუსიკა“ ერქვა პროექტს, რომელიც 7-10 მაისს ჩატარდა ფესტივალის სახით. იგი დაეხმარა თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების მოსწავლეებს უკეთ შეეგრძნოთ XX საუკუნის მუსიკა და მისი სამი გამორჩეული წარმომადგენლის შემოქმედება, რომლებისთვისაც 2013 წელი საიუბილეოა. ესენია: ალექსი მაჭავარიანი (დაბადებიდან 100 წელი), სერგეი რახმანინოვი (დაბადებიდან 140 წ. გარდაცვალებიდან 70 წ.), სერგეი პროკოფიევი (გარდაცვალებიდან 60 წ.) — აღნიშნა ღონისძიების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ნათელა ნატროშვილმა.**

პროექტის ავტორები არიან: ლია ნიქაბაძე — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ირმა რუხაძე — ზურაბ ანჯაფარიძის სახ. №28 ხელოვნების სკოლის პედაგოგი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ ხათუნა ანდღულაძე — ზურაბ ანჯაფარიძის სახ. №28 ხელოვნების სკოლის დირექტორი.

ფესტივალი გაიხსნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში. ჯერ წარმოადგინეს თემატური მოხსენებები, ამას მოჰყვა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები №1, №8, №10 და №28 ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით, მუსიკათმცოდნეების მანანა ანიკაშვილის, ლალი ჭყონიას და ნათელა ასლამაზიშვილი-ნატროშვილის ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საინტერესო და სერიოზული ნამუშევრები. მათ გამოსვლებში იგრძნობოდა მუსიკის დიდი სიყვარული.

დარბაზში წარმოდგენილი იყო სახვითი და ფერწერული ნამუშევრები, რომლებიც დამთვალიერებელზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თემატიკითა და ნაირფეროვნებით.

ფესტივალმა მეორე დღეს №7 ხელოვნების სკოლაში გადაინაცვლა, სადაც გაგრძელდა თემატური მოხსენებების კითხვა და საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა გამოსვლები. გამოირჩეოდნენ პედაგოგ ბაქრაძის, კარტოზიას (№6 სკოლა), ზუკაკიშვილის (№7 სკოლა), ანა და დინარა ბერუჩაშვილების (№28 სკოლა) მოსწავლეები. გამორჩეული იყო აფხაზეთის №1 ხელოვნების სკოლის პედაგოგის დაფქვიაშვილის დამსახურება.

გაზაფხულის ფერებში გამოწყობილი მონაწილეები ერთობ სასიამოვნო გარემოს ქმნიდნენ. ფორტეპიანოზე უკრავდნენ კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ეპიზოდებად გადმოგვცემდნენ მათ ბიოგრაფიას და შემოქმედებას.

**„— ფესტივალის წარმატება განაპირობა ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამოქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას ხელშეწყობამ. მადლობას იმსახურებს კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი შოთა მაღლაკელიძე, რომელიც მხარში ამოუდგა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს.“ — გვითხრა ზ. ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლის პედაგოგმა ნათელა ნატროშვილმა.**

**ნინო ოთარაშვილი,**
**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი.**





ოფშორლიქსი

# კატა-თაგვობანა ფარული ეკონომიკის „ჩრდილში“

(მეშვიდე გვერდიდან)

თუმცა, „ოფშორლიქსის“ ჭეშმარიტი მიზეზების შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. უწინარესად აღსანიშნავია თავად მისი წამომწყები ორგანიზაციის წარმომავლობა. მისი მთავარი ოფისი ვაშინგტონშია, თავად კი ცნობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ცენტრ ფორ ფაბლიკ ინთეგრიტის“ პროექტს წარმოადგენს. **მისი სპონსორები არიან „ფორდის ფონდი“, სოროსის „ღია საზოგადოება“, „ებრაულ თემთა მხარდაჭერის ფონდი“, „ძმები როკფელერებისა“ და „როკფელერების ოჯახის“ ფონდები.** ეს მეტად სერიოზული ოგანიზაციებია, რაც ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ **„ოფშორლიქსს“ მართლაც გლობალური მიზნები გააჩნია, ხოლო დამკვეთები მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის ბობოლები არიან. ბოლო დროს ტერმინიც კი გაჩნდა — „მსოფლიო ბანკსტერები“, რადგან თანამედროვე ბანკირები სულ უფრო მეტად განგსტერებს ემსგავსებიან.** გამოითქმება აზრი, რომ დაიწყო საყოველთაო კატა-თაგვობანას თამაში, რომელშიც კატებად მსოფლიო ფინანსური ოლიგარქია, უწინარესად ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის მთავარი აქციონერები არიან, რომელთა მხარეს მასმედიის უდიდესი წარმომადგენლები, სპეცსამსახურები (ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ინგლისის მი-6, ისრაელის მოსადი, სხვები), ევროკომისიის ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციების ჩინოსნები არიან. თაგვების როლს კი ოფშორული კომპანიები და ამ ზონებში ანგარიშების მფლობელები ასრულებენ.

ხაზს უსვამენ იმასაც, რომ „ბანკსტერთა“ აზრით, მსოფლიო ეკონომიკის ჩრდილოვან ნაწილში სხვადასხვა კალიბრის უამრავი თაგუნა გაჩნდა: დაწყებული მილიარდერებით, პრეზიდენტებით და პრემიერებით დამთავრებული რამდენიმე ასეული ათასი დოლარის მორიდებული მფლობელებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ამ ხალხმა თავიანთ „სოროებში“ 30 ტრილიოან დოლარზე მეტი დააგროვა, რაც მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის საფასურის ნახევარზე მეტია!** ახლა კი, როგორც ჩანს, თაგუნების უდარდელ ცხოვრებას ბოლო მოეღო: ერთი მხრივ, ისინი არც იმათ უყვართ, ვისაც ისინი გამუდმებით „მარცვლეულს“ სცინცლავდნენ, არც იმათ, ვინც მათ სიამოვნებით „გადასანსლავდა“. მოკლედ, „კატებმა“ გადაწყვიტეს რომ „წრუწუნების“ „შეხრამუნების“ დრო დადგა და, როგორც ჩანს, „ოფშორლიქსი“ ის ხერხია, რომლითაც „თაგუნიებს“ „საჭმელად მოამზადებენ“.

კომპრომატის პირველ „ულუფაზე“ უკვე მოახდინეს სათანადო რეაგირება გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ინდოეთის, საბერძნეთის, ავსტრიის, ლუქსემბურგის საგადასახადო და ფინანსურმა სამსახურებმა. ამდენად, ამიერიდან კომფორტული საოფშორო სოროების რიცხვი თაგუნიებს ყოველთვიურად შეუმცირდებათ, დარჩენილ სოროებს კი მკაცრ კონტროლს დაუწესებენ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური რეზერვის კატები. აქედან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ შედეგად თაგუნიების რიცხვი მკვეთრად შემცირდება, რასაც, ვფიქრობთ, ლოგიკური დასკვნა მოსდევს: სრულდება ეგრეთ წოდებული ეკონომიკური ლიბერალიზმის ეპოქა, ხელისუფლება კი გლობალური დიქტატურის ხელში გადადის, რომლის ძალაუფლება უხეშ ძალაზეა დაფუძნებული.

**ოთარ ტურაბელიძე**

გამოფენა

# სოფლის შენებას რაც უნდა...

**მშენებლობა და აღჭურვილობა, არქიტექტურა, პროექტირება, დეკორი — ეს იმ გამოფენის არასრული თემატური ჩამონათვალია, რომელსაც ამ დღეებში დედაქალაქის საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ ოთხი პავილიონი მასპინძლობს.**

„მშენებლობისა და ინტერიერის მე-18 საერთაშორისო გამოფენა“ — ასე ეწოდება თოთხმეტი ქვეყნის სამშენებლო კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დათვალიერებას, რომლის ექსპონატები „ექსპო ჯორჯიას“ ღია ცის ქვეშ ტერიტორიაზეცაა წარმოდგენილი. წლევანდელი გამოფენა, რომელიც თითქმის ორ ათეულწლოვან ისტორიას ითვლის, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბურია. მასში ისრაელის, ჩეხეთის, პოლონეთის, ირანის, თურქეთის, რუსეთის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ლატვიის, არაბთა გაერთიანებული საამიროების, სომხეთის, იტალიისა და გერმანიის ამ სფეროში მოღვაწე დაახლოებით 150-ზე მეტი ფირმა მონაწილეობს. კომპანიების წარმომადგენლები, რომლებმაც თბილისში უამრავი უახლესი ტექნოლოგიით წარმოებული პროდუქცია ჩამოიტანეს, დიდად დაინტერესებულნი გაეცნენ ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, საქმიანი კონტაქტები დაამყარეს სამამულო დეველოპერული და საპროექტო ფირმების წარმომადგენლებთან.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**





**შვილები თენგიზ, ხათუნა კვანტალიანები, შვილიშვილები თეონა, თაკო, გვანცა, გივიკო დუდუჩავები, სიძე რეზო დუდუჩავა, რძალი ირინა ხარაზაშვილი, ძმისწულები მაია, თათა ჯაშები, რძალი მედეა კეკელიძე, სიძე ზურაბ აბდუშელიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ლამარა შალვას ასული ჯაში-კვანტალიანი**

**პანაშვიდი 17, 18 V, 18 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №40, გამოსვენება 19 V, 15 სთ. საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესიიდან.**

**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის საქალაქო და რაიონული კავშირები თანაგრძნობას უცხადებენ მთაწმინდის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარეს ვახუშტი ჯაფარიძეს სიძის**

**შალვა (შატო) იოსელიანის**

**გარდაცვალების გამო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### სუნთქვის... დიეტა



**პიტნის სურნელებით სუნთქვას... გახდომის გამოწვევა შეუძლია.**

ამ არომადიეტას რაციონის შეკვეცა, ანდა მისგან საყვარელი პროდუქტების ამოღება არ სჭირდება. საამისოდ საკმარისია მაჯაზე პიტნის ხსნარის რამდენიმე წვეთის წასმა და დღის მანძილზე მისი სუნის ჩასუნთქვა. ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით მკვლევარები აცხადებენ, რომ აღნიშნული დიეტის გამომყენებელი კაცი დღეში ჩვეულებრივზე 1800 კალორიით ნაკლებს მოიხმარს.

### ნუ იხმაურებთ – ტანს გაუფრთხილდით!

**ხმაურსა და გამუდმებულ სტრესებს სიმსუქნის პროვოცირება შეუძლია.**

ამერიკელმა მკვლევარებმა კარიერულ იერარქიაში მაღალი თანამდებობის მქონე ათობით ქალბატონი გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ სტრესულ ვითარებაში მომუშავე მანდილოსნები, როცა, მაგალითად, გამუდმებით გაისმის კლავიშების კაკუნი, ტელეფონის ზარი და ა.შ., გაცილებით მეტ ცხიმიან საკვებს იღებენ, ვიდრე წყნარ გარემოში მომუშავე მათივე თანამშრომლები. ნორმის გადაჭარბება ყოველდღიურად, საშუალოდ, 65-70 გრამს შეადგენდა. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ საკუთარი ნერვების დაწყნარებაზე ფიქრით გართული ქალები ჭამის პროცესზე ყურადღებას ადუნებდნენ და მეტ საკვებს იღებდნენ. ამასთან, გაირკვა, რომ სტრესი მოქმედებას მისი გამომწვევი ფაქტორის გაქრობის შემდეგაც განაგრძობს. ამდენად, შეიძლება ნერვიულობამ დღისით მოგიწიოთ, ზედმეტი საკვები კი ვახშმობისას მიირთვათ.

### გონიერი „ფუნთუშები“ და მათი საზრიანი შთამომავლები

**ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჭარბი წონა... ქალების გონებრივ უნარს აუმჯობესებს!**

სხვადასხვა კომპლექციის 16 ათასი ქალის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფაშფაშა ფორმების ქალბატონებს გამხდრებზე უკეთესი გონებრივი პოტენციალი აქვთ. მაგალითად, სხეულის არცთუ სრულყოფილი ფორმების პატრონმა ქალბატონებმა ინტელექტის დასადგენ ტესტებში (IQ) გამხდრებსა და ტანწერწეტებზე გაცილებით მაღალი შედეგები აჩვენეს. თუმცა, ექსპერტები ამით არ დაკმაყოფილდნენ და შედეგების გაანალიზების შემდეგ გამოიტანეს დასკვნა, რომ ჭარბი წონის მქონე ქალების გაჩენილი ბავშვები, როგორც წესი, თავიანთ თანატოლებზე უფრო საზრიანები და გონიერები არიან.



### შენ გახდი და მეც გავხდები!

**დაოჯახებული ხალხი მარტოხელებზე გაცილებით სწრაფად სუქდება.**

ამერიკელ მეცნიერთა კვლევების შედეგად დადგინდა, რომ 30 წლამდე ასაკის დაოჯახებულებიც და დაუოჯახებლებიც ხუთი წლის მანძილზე, საშუალოდ, 7-13 კილოგრამს იმატებენ. მაგრამ, ამავე დროს, ახალდაქორწინებულები ამ დროს დაუოჯახებლებზე 3-5 კილოგრამით მეტად სუქდებიან. ჭარბი წონა მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორისაა შვილების გაჩენა, სპორტისთვის ნაკლებად მოცლა, სახლს გარეთ ხშირი სადილობა, ასევე სახლში დიდი ოდენობით საჭმლის მომზადება. თანაც, როგორც ადრევე გაირკვა, თურმე ერთი კაცის გასუქება საგრძნობლად ზრდის მისი მეუღლის, მეგობრების თუ და-ძმების გასუქების საფრთხეს, ხოლო თუკი ვინმე გახდება, ამან, შესაძლოა, მის გარშემო მყოფთა გახდომაც გამოიწვიოს.

### „სტაჟიანი“ სიყვარულის უპირატესობა



**ქალისა და მამაკაცის წყვილში რეგულარული სექსუალური ურთიერთობები იმის საწინდარია, რომ მომავალში მათ ჯანმრთელი შვილები ეყოლებათ, მიაჩნიათ ადელაიდის (ავსტრალია) უნივერსიტეტის სპეციალისტებს.**

საქმე ისაა, რომ ხანგრძლივ ინტიმურ ურთიერთობათა დროს ქალის იმუნური სისტემა პარტნიორის სათესლე მასალასთან ადაპტირებას ასწრებს და სპერმატოზოიდებს „ატარებს“, თანაც ნაყოფის მუცლით ტარების პროცესიც უფრო ადვილად და უპრობლემოდ მიმდინარეობს. სექსუალური ურთიერთობის ოპტიმალური პერიოდი, რომელიც ჩასახვამდე უნდა ხდებოდეს, 3-6 თვეა (თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში იგი, შესაძლოა, ერთ წლამდეც გაგრძელდეს).

### გემრიელიცაა, გაციებასაც აგარიდებთ!



**იმუნიტეტის ამაღლება ყოველთვის სასურველია და საჭირო, მით უმეტეს, როცა საამისოდ დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო.**

გაციებას თავი რომ აარიდოთ, ორგანიზმს მაღალი იმუნიტეტი უნდა ჰქონდეს, რის მისაღწევად ქერის ბურბუშელა წყალზე 3-4 საათის განმავლობაში დააყენეთ, შემდეგ ნახევარი ლიმნის წვენი, გახეხილი ახალი ხილი და თაფლი საკუთარი გემოვნებით დაუმატეთ, ზემოდან კი წვრილად დაჭრილი ჩირი და დანაყილი ნიგოზი მოაყარეთ. შემდეგ კი 2-3 ჭამაზე მიირთვით.

## ანეკდოტები

— იცი, ამ ბოლო ხანს ლამის მთლად გამოვშტერდი, — ეუბნება პეტკა ძმაკაცს, — წუხელ ცოლს, საწოლში მოსიყვარულების შემდეგ, მექანიკურად ოცი ლარი მივეცი.
— იმან რა ქნა?
— აიღო.

* * *



ცოლებს მხოლოდ ორი გლობალური პრეტენზია აქვთ:
1. არაფერი მაქვს ჩასაცმელი.
2. კარადაში არაფერი არ ეტევა.

აბა, მითხარით, როგორ გესმით ტერმინი თაფლობის თვე, — ეუბნება პროფესორი სტუდენტს.
— თაფლობის თვე არის შვებულება, რომელსაც იღებს მამაკაცი ახალ შეფთან სამუშაოდ გადასვლამდე.

* * *

— ივან, შენგან ფეხმძიმედ ვარ.
— კი, მაგრამ, როგორ? ჩვენ ხომ ერთად არც ვწოლილვართ?!
— მეც შოკირებული ვარ!!!

* * *

თუ თქვენ მიდიხართ და არავინ მოგიწოდებთ, უკან მობრუნდითო, ესე იგი, სწორი მიმართულებით მიდიხართ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

გუშინდელი გაზეთებიდან



### საიას სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეაქვს

**ახალგაზრდა** იურისტთა ასოციაცია პრეზიდენტის წინააღმდეგ სარჩელს დაახლოებით ორ კვირაში შეიტანს. ასოციაციის თავმჯდომარის კახა კოჟორაძის განცხადებით, თუ პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ზურა ვაზაგაშვილთან დაკავშირებით არ დამტკიცდება, მიხეილ სააკაშვილს მორალური ზარალის ანაზღაურება ფულადი ჯარიმის სახით მოუწევს. შაბათს პრეზიდენტმა სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა მტკიცებითი ფორმით, რომ ზურა ვაზაგაშვილს ჰქონდა ორი ავტომატი. პრეზიდენტმა დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოსარჩელე მხარე არის ვაზაგაშვილის ოჯახი, რომელსაც საია იურიდიულ დახმარებას გაუწევს.

„ახალი თაობა“

### სააკაშვილისგან უცხოურ ვიზიტებზე ინფორმაციას ითხოვენ

**პარლამენტის** საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზვიად კვაჭანტირაძე პრეზიდენტის ადმინისტრაციას სააკაშვილის საზღვარგარეთ ვიზიტების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას სთხოვს. როგორც კვაჭანტირაძემ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, პრეზიდენტ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტის შესახებ მხოლოდ პოსტფაქტუმ შეიტყვეს. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ვიზიტების შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

„რეზონანსი“

### არასაპარლამენტო ოპოზიციის საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე იქნება!

**„ტრადიციონალისტთა“** ლიდერი აკაკი ასათიანი ამბობს, რომ ისინი ემზადებიან საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

„მე ვფიქრობ, თუ გამოვიდა მემარჯვენე ძალთა გაერთიანება, რაზეც მიდის ახლა კონსულტაციები, გვეყოლება ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატი, თუ ვინ იქნება, ჯერ ცნობილი არ არის. შეიძლება — ნონო ბურჯანაძე, თუმცა, აქ არის ერთი პრობლემა. ქალბატონი ნინო მომხრეა საპრეზიდენტო რესპუბლიკის, მე ვიყავი და ვრჩები საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე. ამ ეტაპზე აქტიური კონსულტაციების რეჟიმში ვიმყოფებით ნინო ბურჯანაძის პარტიასთან.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბობიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com